ახალი განათლება

24 - 30 მარტი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№12 (726) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ჩემი მეგობრები – ჩემი გარემოცვა

გვერდი 7

დუმილი მხოლოდ მათ აძლევთ ხელს, ვისაც სიჩუმით სურს პრობლემის დამალვა

გვერდი 4

პროფესიული განვითარება

თვითშეფასების კითხვარის ანალიზი

გვერდი 2

საკლასო დაკვირვების სრული პროცესის პილოტირება

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრების ტრენინგები

გვერდი 3

პროფესიული განვითარება

თვითშეფასების კითხვარის ანალიზი სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან

ლალი ჯელაძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თბილისისა და რუსთავის საჯარო სკოლების პედაგოგებთან შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის საკითხებზე მსჯელობა იყო. სამუშაო შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის ანალიზზე გაკეთდა. შეხვედრაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და სახელმწიფო კომისიის წევრები მონაწილეობდნენ.

მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვა 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო. პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი თვითშეფასების კითხვარების შევსება იყო, რომლის საფუძველზეც, მასწავლებლებმა პროფესიული თვითშეფასება და ანალიზი განახორციელეს და განვითარების ინდივიდუალური გეგმები მოამზადეს.

სქემის მომდევნო კომპონენტებზე გადასვლამდე, რაც შიდა სასკოლო შეფასებებს გულისხმობს, მნიშვნელოვანია მასწავლებლების მხრიდან ძირითად საკითხებზე უკუკავშირის მიღება. მაგ., რამდენად ეფექტური იყო თითოეული მასწავლებლისთვის კითხვარზე მუშაობა, რა იყო მათთვის განსაკუთრებულად რთული, როგორია პრაქტიკოსი ადამიანების რეკომენდაციები თვითშეფასების კითხვარის დახვეწასთან და განვითარებასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე მინისტრმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თითოეული პედაგოგისადმი, პროფესიული განვითარების პროცესში, მხარდაჭერა. აღნიშნა, რომ სქემა სწორედ მათი დახმარებით, მათი უკუკავშირის საფუძველზე უნდა განვითარდეს და დაიხვეწოს: *„ახალი სქემის ფარგლებში, რომელიც 2015 წლიდან ამუშავდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა თვითშეფასების კითხვარის შევსებაა. პედაგოგებმა, ეს ეტაპი ნაწილობრივ უკვე გაიარეს და ძალიან მნიშვნელოვანია, მოვისმინოთ უკუგება, როგორ მიმდინარეობს პროცესი.*

რამდენიმე ცენტრალური და რეგიონული შეხვედრა უშუალოდ მოქმედ პედაგოგებთან, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან დაიგეგმა, იმისთვის, რომ მათგან მივიღოთ უკუგება და საბოლოო ფორმატი, შეფასების ინსტრუმენტები – რუბრიკები დავამტკიცოთ. ეს არის აქტივობა, რომელიც თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია მასწავლებლის თვითშეფასებაზე, თვითშეფასების განვითარებაზე და, მასზე დაყრდნობით, კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვაზე.

დღეს მასწავლებელი ჩართულია, ასევე, სასკოლო შეფასების ნაწილში, რომლის მიხედვითაც, იგი გადის გადამზადებას და ეს იქნება მეორე თემა, რომელსაც აქტიურად განვიხილავთ აკადემიური წლის დასასრულისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მსგავსი შეხვედრები უნდა გავაგრძელოთ და ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს პროცესები, არის თუ არა ეს ინსტრუმენტები რეალურად ხელშემწყობი პედაგოგების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.“

გია მურღულია მიიჩნევს, რომ სქემა სრულფასოვნად აფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობას და შეხვედრის თემა – მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია სქემისა, რომელიც, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოში ხორციელდება: *„ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სქემა აფასებს მასწავლებელს მისი პროფესიული საქმიანობის სრული გათვალისწინებით. ძალიან მნიშვნელოვანია, სხვათა შორის, ისიც, რომ საკმარისი არ არის, მასწავლებელმა იცოდეს საგანი, რომ ის კარგი მასწავლებელი იყოს. აუცილებელია, იცოდეს ბავშვთა ასაკობრივი ფსიქოლოგიის ანბანი, იცოდეს პედაგოგიკის საფუძვლები, შეეძლოს მეთოდიკის გამოყენება სხვადასხვა შემთხვევაში და ა.შ. მთავარი აქ ის არის, რომ მასწავლებელი ფასდება როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმით – მრავალფეროვნად და მრავალწახნაგოვნად. პრაქტიკულად, სქემაში მისი საქმიანობის ყველა შესაძლო გამოვლინებაა ასახული და გათვალისწინებული.*

სქემა რამდენიმე მიმართულებითაა მნიშვნელოვანი: ერთი – მასწავლებელმა კარგად გაიაზროს თავისი პროფესიული საქმიანობა და მეორე – ამით საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც მიეცეს საშუალება, ობიექტურად შეაფასოს მასწავლებელი, დაინახოს მისი საქმიანობის როგორც დადებითი, ისე პრობლემური მხარეები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.“

შეხვედრის მონაწილე პედაგოგები თვითშეფასების კითხვარს ერთ-ერთ სერიოზულ მექანიზმად მიიჩნევენ, რომელმაც მათ მომავალ თვითგანვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, შესაბამისად, პროფესიული განვითარების პირველი ნაბიჯი სწორედ თვითშეფასების კითხვარის შევსებაა, რომლის საფუძველზეც უნდა გამოვლინდეს ის კონკრეტული საჭიროებები, ძლიერი თუ სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც მთელი წლის აქტივობები დაიგეგმება.

თამარ თაბუაშვილი, 118-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„თვითშეფასების კითხვარი თითოეული მასწავლებლისთვის ერთგვარი გზამკვლევია მომავალი საქმიანობის დასაგეგმად, ვინაიდან, თუ პედაგოგი არ დაფიქრდა რა უშლის ხელს იმ პრობლემების გადაჭრაში, რაც საკლასო სივრცეში ან სკოლის გარეთ შეიძლება წარმოიშვას, ბუნებრივია, ვერც გადაჭრის გზებზე იზრუნებს. ამიტომ, თვითშეფასების კითხვარმა, ყოველივე ამის გადაწყვეტაში, ვფიქრობ, ხელი უნდა შეგვიწყოს მეც და ჩემს კოლეგებსაც.“*

თინათინ გაბოძე, 47-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„თვითშეფასების კითხვარის დანერგვა განათლების სფეროში, ჩემი აზრით, კარგია იმ თვალსაზრისით, რომ ამ დოკუმენტმა საშუალება მოგვცა, გამოგვევილინა ჩვენი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც თვითგანვითარების მაღალ შესაძლებლობებს შეუწყობს ხელს.“*

ნინო ბერაძე, თბილისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი: *„სქემა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასწავლებელს მართლაც სჭირდება თვითგანვითარება კარიერის პროცესში. ის უნდა გეგმავდეს გაკვეთილს, უნდა იცოდეს რითი შედის მოსწავლესთან გაკვეთილზე და რა შედეგზე უნდა გავიდეს. ხოლო რაც შეეხება თვითშეფასების კითხვარს, ეს არის საშუალება, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს პედაგოგის შესაძლებლობებსა და უნარებს.“*

ნინო ქაჯაია, პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგი: *„მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაფასოს საკუთარი თავი და შესაძლებლობები, პროფესიული სვლა, განსაზღვროს სად აქვს ხარვეზები. ამის გამოვლენაში თვითშეფასების კითხვარი გეხმარება. ყოველ შემთხვევაში, დაგაფიქრებს და გადაგახედებს შენს მდგომარეობას, შემდეგ კი, ალბათ, ეცდები, უფრო დახვეწო შენი მუშაობა. აქედან გამომდინარე, რაღაც აქტივობებსაც დაგეგმავ.“*

სოფო ლობჟანიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი, სამინისტროს ინიციატივას – დაიწყოს მასწავლებლებთან პერმანენტული შეხვედრები, მნიშვნელოვან წამოწყებად მიიჩნევს, რადგან სწორედ ასეთ შეხვედრებზე მოისმენენ უშუალოდ პედაგოგებისგან იმ სირთულეებისა და ხარვეზების შესახებ, რომელმაც სქემის მიმდინარეობისას იჩინა თავი: *„ვინაიდან პირველი წელი საპილოტეა, შესაძლოა, პილოტირების შემდეგ, გარკვეული ცვლილებები შევიდეს სქემაში. ამიტომ, მსგავსი შეხვედრები ტრადიციად იქცევა. პირველი შეხვედრა კი რუსთავისა და თბილისის პედაგოგებთან მოეწყო. დაახლოებით, 200 პედაგოგი დაესწრო. პირველი შეხვედრა თვითშეფასების კითხვარს მიეძღვნა, ხაზი გაესვა, რა სირთულეებს ან რა პოზიტიურ მხარეებს წააწყდნენ მასწავლებლები თვითშეფასების კითხვარის შევსებისას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ჩაატარა თვითშეფასების კითხვარის კვლევა, რომლის პრეზენტაციაც შეხვედრაზე ქალბატონმა მანანა რატიანმა გააკეთა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დამოკიდებულება მასწავლებლების მხრიდან საკმაოდ პოზიტიურია. უმეტესობა ამბობდა, რომ თვითშეფასების კითხვარმა ბევრი მათგანი დააფიქრა.“*

კვლევის მიხედვით, მასწავლებლებმა, ძირითადად, ორი სირთულე დაასახელეს: **კითხვარის მოცულობა** და **კითხვების ფორმულირება**. მათი სურვილია, კითხვები უფრო კონკრეტული იყოს და რაც მთავარია – მათთვის გასაგებ ენაზე. *„კვლევაც იმისთვის ტარდება და ასეთი შეხვედრებიც იმას ემსახურება, რომ გადაიხედოს თვითშეფასების კითხვარი –* ამბობს სოფო ლობჟანიძე – *იმ რეკომენდაციებსა და უკუკავშირს, რასაც მასწავლებლებისგან მივიღებთ, აუცილებლად გავითვალისწინებთ და სექტემბერში, სკოლაში მისულ მასწავლებლებს, უკვე ადაპტირებულ თვითშეფასების კითხვარს შევთავაზებთ.“*

პროფესიული განვითარება

საკლასო დაკვირვების სრული პროცესის პილოტირება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში, 2016 წლის მარტიდან, დაიწყო საკლასო დაკვირვების პროცესის პილოტირება. პირველი ეტაპისთვის ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის 20 სკოლა შეირჩა. პროცესში რუსთავისა და კასპის საჯარო სკოლების 80 პედაგოგი ჩაერთო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი პილოტირების პროცესში ჩართულ პედაგოგებს შეხვდნენ და პროცესის მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

საკლასო დაკვირვების პროცესის პილოტირება არ გულისხმობს კონკრეტული პედაგოგის საქმიანობის შეფასებას, ტარდება მხოლოდ პროცესის იმიტაცია, რათა შეფასდეს მისი მიმდინარეობის ეფექტურობა პილოტირების პროცესში. მიღებული ინფორმაცია საკლასო დაკვირვების დახვეწასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

საკლასო დაკვირვების პროცესი საქართველოს საჯარო სკოლებში 2016-2017 სასწავლო წელს ამოქმედდება და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება. საკლასო დაკვირვების მომზადების მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა რამდენიმე ეტაპი: სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გამოცდილების შესწავლა, გაანალიზება და საჭიროებების გამოვლენა; მოქმედი პედაგოგების თანამონაწილეობით საკლასო დაკვირვების ნაწილის ძირითადი პრინციპებისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით. მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, საკლასო დაკვირვების ნაწილი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგებმა უნდა გაიარონ. საკლასო დაკვირვების ფარგლებში, გათვალისწინებულია, მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და ანალიზის გზით, პედაგოგიური უნარების შეფასება.

თამარ სანიკიძე: *„გარე დაკვირვება ყველაზე ახალი კომპონენტია სქემაში და ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი. ფაქტობრივად, ეს, სახელმწიფოს მხრიდან, პრაქტიკის პროცესში მასწავლებლის (როდესაც ის გაკვეთილს ატარებს) შეფასების პირველი ცდაა. ძალიან საპასუხისმგებლო ეტაპზე ვართ, იქიდან გამომდინარე, რომ უკვე, ნელ-ნელა, საპილოტე წელი იწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად უნდა ჩამოვყალიბდეთ, როგორ გავაგრძელებთ მუშაობას. დასამტკიცებელი იქნება ის ინსტრუმენტები და რუბრიკები, რომლებითაც ფასდებიან მასწავლებლები.*

ეს კომპონენტი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ ითვალისწინებს შიდა შეფასებას – პირველ ეტაპზე, სკოლა აფასებს მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობას. სერიოზული კომპონენტია და ბევრი დეტალი იქნება კიდევ გასათვალისწინებელი. რეალურად ეს არის მასწავლებლის შეფასების სწორი მხარე – როდესაც ვაძლევთ საშუალებას, აჩვენოს რამდენად იყენებს სასკოლო პრაქტიკაში ყველა იმ უნარს, რომელიც სხვადასხვა ფორმატით დაადასტურა. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოვუსმინოთ, რას ფიქრობენ თვითონ პედაგოგები.“

მაია მიმინოშვილი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი: *„დღეს საინფორმაციო შეხვედრაა. ჩვენს პედაგოგებს გვინდა დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ – რა გაკეთდა აქამდე და რას ვაპირებთ მომავალში. გავიხსენოთ ყველამ, რა მოსაზრებები იყო ოპონენტების მხრიდან, განსაკუთრებით იმის თაობაზე, რომ მასწავლებლის პროფესია ძალიან კომპლექსურია და შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ და მხოლოდ, გამოცდის შედეგების საფუძველზე. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებით.*

უმნიშვნელოვანესია პედაგოგის პრაქტიკული საქმიანობის შეფასება და სწორედ ამ სისტემის დანერგვა დავიწყეთ კარგა ხნით ადრე. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს აპრობაციები და პილოტირებები. ახლა თვითონ პროცესის პილოტირების რეჟიმში ვართ, ბუნებრივია, სანამ საბოლოო პროდუქტს არ შევქმნით – ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მოხერხდება საკლასო დაკვირვების განხორციელება. რასაკვირველია უკუკავშირიც გვჭირდება ჩვენი პედაგოგებისგან და დღეს, ამ შეხვედრაზე, დეტალურად გავივლით ყველაფერს – რას ვაპირებთ, რა გავაკეთეთ აქამდე და როგორ ინსტრუმენტს შევთავაზებთ მათ უკვე მაისის თვეში.“

ნინო ასანიძე, 140-ე სკოლის დირექტორი: *„მე ამ საპილოტე პროგრამას, საერთოდ ახალ სქემას, რომელშიც მოიაზრება კონკრეტულად გარე შეფასება, რომელზე სალაპარაკოდაც შევიკრიბეთ დღეს, ძალიან დადებითად ვაფასებ. ვფიქრობ, რომ დროულია. იმ ე.წ. სასერტიფიკატო გამოცდებს, რა თქმა უნდა, თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა უდავოდ ჰქონდა, მაგრამ უფრო თეორიულად აფასებდა მასწავლებლის ცოდნასა და გამოცდილებას, მაგრამ პედაგოგის საქმიანობა უფრო პრაქტიკულია, ცოცხალი, ცვალებადი და ვერ ზომავდა მასწავლებლის საქმიანობას კონკრეტულად – რა შეეძლო მასწავლებლებს, მის წარმატებებსა და წარუმატებლობას. ამიტომ ახალი სქემა ძალიან კარგად ავსებს იმ სტანდარტს. მასწავლებლები თავად ხედავდნენ ამ პრობლემას და ითხოვდნენ, სერტიფიკატი არაფერს ნიშნავს, მთავარია, გვნახეთ, რას ვაკეთებთ გაკვეთილზე. ეს მოთხოვნა, რომელიც, ფაქტობრივად, მასწავლებლებიდან წამოვიდა, გათვალისწინებულ იქნა და დღეს მათ ადგილებზე ეძლევათ შანსი, თავიანთი კონკრეტული საქმიანობით, პრაქტიკით დაამტკიცონ რამდენად პროფესიონალები არიან.*

რაც მთავარია, ეს არ არის ჩასაფრების პოლიტიკა, პირიქით – ძალიან კონსტრუქციული უკუკავშირი იმისთვის, რომ მასწავლებელს ეფექტური რეკომენდაციები მიეცეს – სად აქვს მას ძლიერი თუ სუსტი მხარეები. საკუთარი პრაქტიკის თვითშეფასების შედეგად, მასწავლებლებმა, თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების რეფლექსია მოახდინეს და ამის გათვალისწინებით დაგეგმეს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები. უკუკავშირი, იქნება ეს სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის თუ გარე დაკვირვების ჯგუფის მიერ განხორციელებული, ვფიქრობ, მასწავლებელს ძალიან წაადგება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში. სახელმწიფო, თავის მხრივ, სხვადასხვა საშუალებებს სთავაზობს პედაგოგს, იქნება ეს ტრენინგები, სასწავლო მასალა, ლიტერატურისა და რესურსის სახით თუ სხვ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორი აქცენტი გაკეთდა, როდესაც ადგილებზე დაიწყო ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთშეფასება. ამით საგნობრივ კათედრებსაც მეტი დატვირთვა და მნიშვნელობა მიეცა. ადრე ეს პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ახლა რეალურად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და ეს პროცესი ძალიან ეფექტურად მიმდინარეობს.“

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრების ტრენინგები

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ მასწავლებლის შეფასების კომპლექსურ სისტემას ეფუძნება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის 82-ე საჯარო სკოლაში ტრენინგის მიმდინარეობას გაეცნო და ტრენინგის დასრულების შემდეგ, მასწავლებლებს გაესაუბრა.

ტრენინგის სამიზნე აუდიტორია სკოლის შეფასების ჯგუფის წევრი დირექტორები, მოადგილეები, ფასილიტატორები და კათედრის წარმომადგენლები არიან. ტრენინგის შედეგად ისინი:

- გაიაზრებენ სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის ფუნქციამოვალეობებს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების პროცესში;
- გაეცნობიან მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის სტრუქტურას, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა იყოს ასახული მასწავლებლის პორტფოლიოში სქემით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების დასადასტურებლად;
- გაეცნობიან მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასების წესს, პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
- გაიაზრებენ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსის გამოყენების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში და გაეცნობიან იმ რესურსის ტიპებს, რომლებიც შეფასდება სქემის ფარგლებში;
- გაეცნობიან და პრაქტიკულად გამოიყენებენ სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკას;
- შეძლებენ შეაფასონ მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე.

ტრენინგ-მოდულების წარმატებით გავლა იმის წინაპირობა იქნება, რომ შეფასების ჯგუფის თითოეული წევრი მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის ობიექტურად შეფასების შესაბამის კომპეტენციას შეიძენს და მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის წარმატებით შეფასებას შეძლებს.

თამარ სანიკიძე: *„ეს ის სიახლეა, საითაც მივიწევთ, რომ ნელ-ნელა გადავიდეთ – სასკოლო შეფასება, სკოლის შიდა შეფასება და სკოლაზე დაფუძნებული შეფასებები, რომლის მიხედვითაც თავად სკოლამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა სჭირდება მას და რა სჭირდება მის მასწავლებელს. ეს რომ წარმატებით განხორციელდეს, ახალი სქემის ფარგლებში, მთელი სისტემაა აწყობილი. ტრენინგ-მოდული 83 სკოლაში მიმდინარეობს, თბილისსა და რამდენიმე რეგიონში. პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ყოველდღიურად, ყოველკვირეულად წინ და წინ მივიწევთ, რომ ახალი აკადემიური წლისთვის გარკვეული ტრენინგ-მოდულები, რომლებიც სასკოლო შეფასების დროს შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას ასწავლის აპლიკანტებს, უკვე დანერგილი იყოს და ყველამ დამოუკიდებლად შეძლოს მუშაობის გაგრძელება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი გადამზადების პროცესი მიმდინარეობს.*

რაც შეეხება მასწავლებლის შეფასებას, სწორედ იმიტომ, რომ ტესტი არ არის, ვერ იქნება და არასოდეს ყოფილა ის უნიკალური მეთოდი, რომლითაც შეიძლება ყველა პარამეტრის შეფასება (განსაკუთრებით, როცა ეს მასწავლებლებს ეხება), პედაგოგმა, ძირითადად, პრაქტიკაში უნდა აჩვენოს, რა შეუძლია, რა უნარ-ჩვევას ფლობს, როგორი გაკვეთილის ჩატარება შეუძლია. ახალი სქემა და სისტემა, სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ ტესტური შეფასებიდან, ნელ-ნელა, ისე, რომ არ იყოს წყვეტა და არ დავკარგოთ ლოგიკური ბმა პროცესებს შორის, გადავიდეთ პრაქტიკის შეფასებაზე და, თვითშფასებასა და შეფასებაზე დაყრდნობით, გადაწყვეტილებების მიღებაზე.

როგორ ხორციელდება შეფასება: პირველ რიგში – თვითშეფასება, მერე – სასკოლო, შიდა შეფასება, ასევე პორტფოლიოების შეფასება, შემდეგ ეტაპზე შემოდის უკვე სახელმწიფო, რომელიც გარე დაკვირვებას ახორციელებს და ამოწმებს, რამდენად სწორად მისდევს სკოლა ამ პროცესებს, რომ იყოს მუდმივი უკუგება და პროცესი მუდმივად ვითარდებოდეს. ეს ახალი სქემის ის მნიშვნელოვანი მომენტია, რომელმაც მართლაც უნდა შეცვალოს სასკოლო ცხოვრება.

რაც შეეხება მასწავლებელთა გამოცდების შედეგებს და ტესტებს, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ – ეს განცხადებები გაკეთდა მანამ, სანამ ვინმე რეალურად გააკეთებდა სტატისტიკის ანალიზს. რა იყო ამ სტატისტიკაში ჩადებული, ერთი – იყო მოქმედ მასწავლებელთა ნაწილი, რომელმაც ვერ ჩააბარა გამოცდა, რაც ნამდვილად არ არის კარგი და სახარბიელო. მაგრამ იქ საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი ადამიანები, რომლებიც დღეს არ არიან განათლების სისტემაში და უნდათ მასწავლებლობა; მონაწილეთა გარკვეულ ნაწილს კერძო სკოლების მასწავლებლები წარმოადგენდნენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – მაგალითად, ჩვენ ვნახეთ, რომ დაწყებითის გამოცდაზე მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა ჩაიჭრა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოცდაზე გამსვლელთა 100% დაწყებითი საფეხურის მოქმედი მასწავლებლები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ მათი დიდი რაოდენობა იყვნენ მასწავლებლები არა დაწყებითი საფეხურის, არამედ სხვა საგნების, რომლებსაც სურვილი აქვთ, მომავალში გახდნენ დაწყებითის მასწავლებლები. სტატისტიკა რომ დავამუშავეთ, ფონი განიმუხტა და სხვა სურათი გვაქვს, თუმცა ის, რომ მოქმედი მასწავლებელი, იმ მიმართულებით, რასაც ასწავლის და აქვს წლების პრაქტიკა, ტესტს ვერ აბარებს, ვფიქრობ, გარკვეულ პრობლემაზე მიუთითებს. ამიტომაც არის, სქემის ფარგლებში, მასწავლებელს, სამი წლის განმავლობაში, წელიწადში ორჯერ, შეუძლია მოემზადოს და გავიდეს გამოცდაზე, მაგრამ ის მხოლოდ ტესტისთვის კი არ უნდა ემზადებოდეს, არამედ ჩართული უნდა იყოს სასკოლო შეფასებაში – რუბრიკების შეფასებაში, პორტფოლიოს შეფასებაში.

არ შეიძლება მასწავლებელზე განახორციელო ზეწოლა და დაუკარგო მოტივაცია, რომ ის საქმე, რაშიც ჩაერთო და რაც ძალიან შრომატევადია, ბოლომდე მიიყვანოს. აი, ამაში მასწავლებელს ნამდვილად სჭირდება დახმარებაც და ხელშეწყობაც, რომ არ ამოვარდეს იმ რთული სისტემიდან, რომელშიც 2015 წლიდანაა ჩართული.“

მეგი კუთხაშვილი, 83-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა ამოქმედებულია. ძალიან კარგი, რომ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ, კრედიტები დააგროვონ. მათ იმის საშუალებაც აქვთ, რომ თვითშფასების სქემა შეავსონ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რეალურად დავინახეთ სურათი – სად არის ჩვენი ძლიერი მხარე და ამის მიხედვით დავგეგმოთ საჭიროებები. კარგია მასწავლებლის პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე, ამისთვის ფასილიტატორებს ურთიერთთანამშრომლობა გვაქვს, ვცვლით ინფორმაციას, რომელსაც ტრენინგები გვაწვდის.*

დღესაც მნიშვნელოვანი ტრენინგია. მასწავლებლებმა უკვე დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, როგორ გეგმავენ კრედიტების დაგროვებას – რომელი აქტივობებით (რომლებიც უკვე განათავსეს თავიანთ პორტფოლიოებში და გააგრძელებენ ივნისის ბოლომდე). წლის ბოლოს პორტფოლიოები შეფასდება. მნიშვნელოვანია, მათ იცოდნენ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდება და სწორედ ამას განვიხილავთ დღეს.

სქემა ძალიან კარგია მოტივაციისთვის, რადგან მასწავლებელს შეუძლია, ის, რასაც აკეთებდა და რაც მხოლოდ მოსწავლის შედეგზე ისახებოდა, თავის პროფესიულ განვითარებაშიც ასახოს და წინ წავიდეს.“

მზია გველესიანი, 97-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„ყველა პედაგოგისთვის, მოგეხსენებათ, დიდი პასუხისმგებლობაა ახალგაზრდებთან, მომავალ თაობასთან მუშაობა, ამიტომ ამ ტრენინგებით დიდი მოლოდინი მაქვს. მჯერა, რომ ბევრ სიახლეს გავეცნობით, დავნერგავთ, ვითანამშრომლებთ კოლეგებთან და ამის შედეგად მივაღწევთ იმ მიზანს, რასაც ჩვენი რეფორმა ისახავს.“*

მასალა მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

სტუმარი

დუმილი მხოლოდ მათ აძლევთ ხელს, ვისაც სიჩუმით სურს პრობლემის დამალვა

დღევანდელი „აგ“-ს სტუმარი განათლებით ფსიქოლოგი/ოკუპაციური თერაპევტი ანა არგანაშვილია, რომელიც წლების განმავლობაში იცავს მათ უფლებებს, ვინც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე იოლად დასაჩაგრია – ესენი ბავშვები არიან და ამბობს, რომ ამაზე აუცილებლად *„ბავშვები მოგვთხოვენ პასუხს“ – „სად ვართ, სად ხართ როდესაც ჩვენს თვალწინ ბავშვის ღირსება და ცხოვრება რისკის ქვეშ დგება? ეს ბავშვები ხვალ მოგვთხოვენ პასუხს და თითოეულ ჩვენგანს უმოქმედობაში დაადანაშაულებენ. ჩვენ ამაზე პასუხი არ გვექნება“. „არ გავჩერდები მანამ, ვიდრე მათი ცხოვრება არ შეიცვლება უკეთესობისკენ და მათი უფლებები არ იქნება დაცული“* – აცხადებს ის.

მისი ორგანიზაციის (PHR) მომავალი ორი წლის პრიორიტეტული სფერო მართლმსაჯულებაზე ბავშვთა ხელმისაწვდომობაა და როგორც ანა ამბობს, მიზანს მაშინ მიაღწევენ, *„როცა სასამართლო იტყვის, რომ ბავშვს უნდა მოვუსმინოთ – მაშინ ბავშვებს ყველა მოუსმენს“*.

2003 წლიდან მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნეირორეაბილიტაციისა და დღის ცენტრებში, გაეროს ბავშვთა ფონდში, საქართველოს საახალგაზრდო დამცველის ოფისში. „კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ანას საპატიო სიგელი გადასცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კეთილდღეობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. ავტორია არაერთი კვლევისა და მონიტორინგის ანგარიშის, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვებისა და ხანდაზმულების უფლებრივ მდგომარეობას ასახავს საქართველოში. ამჟამად „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პროექტის მენეჯერია.

***– „ადამიანის უფლებები არ ცნობს საზღვრებს და თუ უფლება სადმე ირღვევა, ჩვენ უნდა გავჩნდეთ იქ და დავიცვათ ისინი“*. ანა, ეს, ჩემი აზრით, ყვლაზე გულწრფელი და საუკეთესო მოწოდებაა, რაც კი ბოლო დროს მსმენია. თქვენ იგი ბავშვის უფლებათა კონვენციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე – „აქტიური საუბრები“ – გააკეთეთ. *„ეს წერილი არ არის ჩემი თვითკმაყოფილებისა და კომფორტის საფუძველი, ეს არის საბუთი, ბილეთი მომავალი ბრძოლისათვის... არ გავჩერდებით მანამ, ვიდრე მათი ცხოვრება არ შეიცვლება უკეთესობისკენ და მათი უფლებები არ იქნება დაცული“*. – ამ განცხადების შემდეგ, თითქმის, 2 წელი გავიდა, თქვენ ბრძოლას განაგრძობთ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?**

– ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიცვალა ის, რომ სახელმწიფო უწყებებმა ამ თემაზე უფრო დახვეწილად დაიწყეს საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საუბარი შინაარსობრივად ღრმა არ არის. ისე როგორც ნებისმიერ სახელმწიფო უწყებას, აქაც აქვთ ამორჩეული რამდენიმე თემა, სადაც გარკვეული პროგრესია და იმ თემების გარშემო ტრიალებენ, თუმცა ერიდებიან იმ თემების გახსნას, სადაც გაყინული ვითარება ან გარკვეული რეგრესია. ყველაფერს ამას განაპირობებს ის, რომ ბავშვთა უფლებები ჯერ კიდევ ნამდვილად არ არის პრიორიტეტი. გადავხედოთ წინასაარჩევნო პერიოდს ან არჩევნების შემდგომ პირველ წელს – მუდმივად გვეუბნებიან, რომ წინასაარჩევნოდ არ სცალიათ, არჩევნების შემდგომ კი სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ მოსაგვარებელი. შუა პერიოდი არის პატრა ფანჯარა, რომლის დროსაც ბავშვთა უფლებების დამცველები რაღაცას ვითხოვთ. როგორც წესი, არ გვაცლიან მთელი ციკლის მიყოლას. ამჟამად მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების რეფორმის კრიტიკული პროცესი, პარლამენტმა მოისმინა კანონპროექტი. რამდენიმე დღის წინ ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ კანონპროექტს აქვს სერიოზული ხარვეზები, კერძოდ, გამოტოვებულია ბაღის პედაგოგთა გადამზადების ვალდებულება და მონიტორინგი ეკისრება იმავე უწყებას, ვინც უნდა განახორციელოს ახალი პროგრამა. მიუხედავად ამისა, ეს არავის ყურადღების ცენტრში არ მოექცა. ადამიანებს, რომლებიც დღეს ებრძვიან სხვათა პირადი ცხოვრების დამრღვევთ, ჩვენ ვეუბნებით, რომ პირადი ცხოვრების დაცვის სწავლება სწორედ ბავშვობიდან, ბაღის ასაკიდან უნდა დავიწყოთ.

ვფიქრობ, საქმე გვაქვს არაპროფესიონალურ მიდგომასთან, როდესაც ადამიანის უფლებებს ძალიან დაგვიანებით აქცევენ ყურადღებას, ანუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი უფლებები დაირღვევა. გვავიწყდება, რომ პრევენცია სწორედ განათლებაშია. არც ერთი პარლამენტარი, დღეს, რეგულარულად, ბავშვთა საკითხებს განსახილველად არ აყენებს, მაშინ, როცა ვიცით, რომ ისინი სხვადასხვა თემას ლობირებენ – მაგ., საარჩევნო ან მართლმსაჯულების საკითხები და ა.შ. და თუ მათ მივმართავთ ინტერვიუს ჩასაწერად, ღიმილით საკუთარ ბავშვობაზე საუბრობენ. ფიქრობენ, რომ ბავშვთა უფლებების ცოდნა ეს არის. სამწუხაროდ, ეს არაპროფესიონალიზმია. პრობლემას იმაში ვხედავ, რომ დღეს პროფესიონალებს ბავშვთა უფლებებს არ ასწავლიან, არც ერთ უნივერსიტეტში არ მიმდინარეობს ბავშვთა უფლებების შესახებ აკადემიური სწავლება. მაგალითისთვის ავიღოთ მომავალი იურისტები. მათ ხომ ასწავლიან საჯარო სამართალს, საოჯახო სამართალს და ა.შ., მაგრამ არ ასწავლიან ბავშვთა უფლებებს. რატომღაც მიჩნეულია, რომ იურისტი ამ ცოდნის გარეშეც დაიცავს ბავშვთა უფლებებს, რაც არასწორია. ეს შედეგიდანაც ჩანს – როგორც წესი, ბავშვთა საკითხებზე არ გამოდის სასამართლო გადაწყვეტილებები. მაგალითად, დარღვევას, რომელზეც ზრდასრულის შემთხვევაში ვიტყოდით, რომ დანაშაულია, ბავშვთან მიმართებაში დანაშაულს არ ვეძახით. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ბავშვის უფლებები არც მართლმსაჯულების და არც პოლიტიკის დონეზე არ განიხილება – ეს არის დესერტი, რომელსაც აყოლებენ ხოლმე დიდ, მნიშვნელოვან საკითხს.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან – ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, – ძალიან სერიოზულ თემებს შორის, ერთ-ერთი იყო ბავშვთა უფლებების სფეროში არსებული ვალდებულების შესრულება ქვეყნის მხრიდან. იმისთვის, რომ ვიზა ლიბერალიზაცია მიგვეღო, ჩვენი ორგანიზაცია ასოცირების ხელშეკრულებას მონიტორინგს სწორედ ამ ნაწილში უწევდა. ბატონ დავით ბაქრაძის გარდა, რომელიც არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი, არც ერთი სხვა მინისტრი არ დაინტერესებულა და არ ესწრებოდა შეხვედრას, როცა ბავშვთა უფლებები განიხილებოდა. აი, რატომ გვაქვს პრობლემები ამ მიმართულებით.

– ბულინგი სკოლებში – დღეს ძალიან აქტუალური და საჭირბოროტო თემაა. რას ფიქრობთ, რა მდგომარეობაა სკოლაში, რატომ იჩინა თავი ასეთი დოზით ძალადობამ? უფრო მეტად ვამახვილებთ ყურადღებას და ვახმოვანებთ ძალადობის ფაქტებს, თუ მართლაც გაიზარდა ასეთი შემთხვევების რაოდენობა? და კიდევ, სკოლა უზრუნველყოფს თუ არა ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას?

– ვფიქრობ, ორივე ერთდროულადაა, გაიზარდა კიდევაც ძალადობის შემთხვევები და მეტი ყურადღებაც დაეთმო ამ საკითხს.

რაც შეეხება ძალადობის შემთხვევების ზრდას, ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ, ზოგადად, ქვეყანაში არსებული მძიმე ფონი, მათ შორის სოციალური. ასევე, ის ფაქტიც, რომ ბავშვების დიდი ნაწილი დამოკიდებულია კომპიუტერზე, რომელსაც არასწორად მოიხმარენ, კიბერუსაფრთხოება კი, საქართველოში, ბავშვთა დაცვის კუთხით, არ არის განვითარებული. უამრავი შემთხვევა იყო, როცა ინტერნეტში განთავსდა ბავშვების პორნოგრაფიული კონტენტი ან ძალადობა. ჩვენი ორგანიზაცია პირადად მიმართავდა პროკურატურას, იმიტომ, რომ არ არსებობს ცენტრალიზებული დაცვა; არ არსებობს არც ერთი უწყება ან სააგენტო, რომელსაც მშობელი დაუკავშირდება და მიიღებს კონსულტაციას, როგორ დაიცვას შვილი. ვფიქრობ, ძალიან გაზრდილია კიბერბულინგი, განსაკუთრებით კი სკოლის მოსწავლეებში – ერთმანეთისთვის ფოტოების გადაღება და ბოროტად გამოყენება, ინტერნეტსივრცეში ერთმანეთზე ძალადობა და ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაშიც აისახება. თუმცა, გეთანხმებით, რომ ყურადღებაც გაზრდილია. ხანდახან მსაყვედურობენ, რა არის ამდენი ნეგატიური ინფორმაციაო. მაგრამ უფრო საშიშია, როცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლად, დაუცველად გრძნობს თავს, ვიდრე ამაზე საუბარი. ადრე მასწავლებელმა არ იცოდა, რომ ბავშვისთვის ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების შეზღუდვა ძალადობაა. მედიის და მსგავსი ინფორმაციების გავრცელებით ეს გაიგეს. ახლა მათთვის მოულოდნელი არ იქნება, თუ ასეთ ფაქტზე საჩივარი დაიწერება. გვეუბნებიან ხოლმე, რომ ხშირად ბავშვები იტყუებიან. ასეთ შემთხვევაშიც კი, ბავშვის მოთხოვნის იგნორირება არ უნდა მოხდეს, არამედ უნდა ვიპოვოთ მიზეზები რატომაა იძულებული ბავშვი, რომ ტყუილი თქვას – ან გაკვეთილია მოსაბეზრებელი ან სხვა ტიპის პრობლემაა. შესაძლოა, ძიებამ ძირეული სწავლების ხარისხის პრობლემასთან მიგვიყვანოს. მე მივესალმები საკითხის ძალიან მკვეთრ გაშუქებას, რადგან მასწავლებლებსაც ესაჭიროებათ ინფორმაცია, მათაც არ უსწავლიათ ბავშვთა უფლებები და ისინიც ჩვენთან ერთად მიდიან წინ. სამწუხარო ის არის, რომ კონკრეტული ბავშვის უფლების დარღვევის მაგალითზე ვსწავლობთ, რა უნდა იყოს აკრძალული. ეს ჩემთვის არაჰუმანურია.

– რა პრევენციული ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მოზარდებს შორის ან მოზარდებზე ძალადობის თავიდან ასაცილებლად?

– პრევენციაში ბევრი რამ შეიძლება ვიგულისხმოთ. ერთ მაგალითზე შევჩერდები: რამდენიმე დღის წინ, სოციალური ქსელის საშუალებით, ღიად მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს და რეალური პრობლემა აღვწერე – როცა ბავშვებს ვესაუბრებით იმაზე, რომ ბულინგი და ძალადობა მიუღებელია და კანონითაა აკრძალული, ისინი გვიბრუნებენ კითხვას: ჩვენ ყოველდღე პარლამენტში ვხედავთ ბულინგს, სამართალდარღვევას და ამაზე პასუხი არავის მოეთხოვება, ეს ნორმალურია? პრევენცია შეიძლება მიკროდონეზეც განვიხილოთ და მაკროდონეზეც, ანუ შეიძლება სკოლაში მოსწავლეს მასწავლებელი ესაუბროს, რომ ჩაგვრა არ შეიძლება, მაგრამ მაკროდონეზე ჩვენს ხელისუფლებას ძალიან დიდი როლი აკისრია. როცა ისინი ამას არ აღიარებენ, როგორც ძალადობის ფორმას – თუნდაც მათი სატელევიზიო დებატები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არის შეურაცხყოფის, ურთიერთდამცირების მაგალითი და რომლის პირდაპირ მოდელირებასაც ახდენენ ბავშვები.

ჩემთვის ეს არის პრობლემა – პრევენცია მხოლოდ ფურცელზე და წიგნში... ყველაფერი კი მთლიანად მასწავლებლებზეა გადატეხილი. ის, ვინც უნდა იყოს მოდელი ჩვენი ქცევის, თავად აჩვენებს არასწორ ქცევას.

რაც შეეხება შეკითხვას, უზრუნველყოფს თუ არა სკოლა ბავშვის უსაფრთხო გარემოს, გეტყვით, რომ ამ ეტაპზე სკოლა ამას ვერ აკეთებს.

ამ თემაზე დუმილი მხოლოდ მათ აძლევთ ხელს, ვისაც სიჩუმით სურს პრობლემის დამალვა. ვფიქრობთ, სკოლაშიც, და ზოგადად განათლების სისტემაშიც, არის საკითხები, რომლებიც ძალიან პროგრესულად მიმდინარეობს, თუნდაც საგნის „მე და საზოგადოების“ მიმართ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მყარი პოზიცია. მაგრამ, მეორე მხრივ, რაც შეეხება ბულინგის დროს ფსიქოლოგიურ მომსახურებას – ბატონი ლევან ზარდალაშვილი სატელევიზიო გამოსვლებში აცხადებს, რომ არ ჰყოფნით რესურსი და, რიგ შემთხვევაში, ბულინგის მსხვერპლ ბავშვს ურჩევს, მხოლოდ სწორ პოზაში დგომას. სამწუხაროდ, მხოლოდ სხეულის სწორი პოზა ბულინგის მსხვერპლ ბავშვს ვერ დაეხმარება, საჭიროა ბევრად უფრო კომპლექსური მიდგომა. სამოქალაქო საზოგადოება ვთხოვთ განათლების სამინისტროს, პრობლემები გამოაჩინონ და მათ მერე, მოგვარებაში, ჩვენც დავეხმარებით.

– მინდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას შევეხოთ, რა იცვლება მოზარდებისთვის, რომლებსაც პრობლემა აქვთ კანონთან?

– არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა მართლაც ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯია. შეიცვალა ზოგადად ხედვა – არასრულწლოვანი არის, უპირველეს ყოვლისა, ბავშვი, რომელსაც გარემოებებმა უბიძგა, რომ აქეთ წასულიყო. ჩემი აზრით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა არასრულწლოვანი, გარკვეულწილად, არის მსხვერპლი არასწორი აღზრდის, განათლების, სოციალიზაციის ნაკლებობის. აი, ეს ხედვა შემოგვთავაზა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმამ. ერთ ფრაზაში ეს ხედვა შეიძლება ასე

სტუმარი

ჩამოყალიბდეს – სასამართლო პროცესზე არ არსებობს ორი მხარე, არის მხოლოდ ერთი და ეს არის ბავშვის მხარე – ყველა ცდილობს, გაიაზროს რატომ ან როგორ ჩამოყალიბდა ბავშვი ამგვარად, მას არ უწოდებენ დამნაშავეს, არამედ – კანონთან კონფლიქტში მყოფს. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რეფომას ძალიან სერიოზული გამოწვევები აქვს და თუ ვითარება არ შეიცვალა, შესაძლოა, რეფორმა ჩაიშალოს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო მხოლოდ იუსტიცია და სასამართლო ან საპატიმრო არ არის. ეს არის სოციალური დაცვა, განათლება და ჯანდაცვა. სოციალური დაცვის კუთხით, ძალიან სერიოზული ხარვეზები გვაქვს – ვიდრე არასრულწლოვანი მოხვდება იუსტიციის სფეროში (სანამ დანაშაულს ჩაიდენს), მთელი რიგი რისკ-ფაქტორები არსებობს, რომლებიც უნდა აკონტროლოს ბავშვთა სოციალურმა დაცვამ. არასრულწლოვანს არ უნდა შიოდეს, რომ საკვები არ მოიპაროს, არ უნდა სციოდეს და ფეხსაცმელი უნდა ჰქონდეს – ვიცით, რომ ბოტასები მოიპარა მოზარდმა, ამის გამო დაიჭირეს. სად არის ამ დროს სოციალური დაცვა? სად არის და, სოციალურ დაცვას აქვს კრიზისი, ბოლო ხუთი წელია გაჩერდა მისი განვითარება. თითოეულ სოციალურ მუშაკს 200 საქმე დააწერეს, მათ არ აქვთ ტრანსპორტირების და ტელეფონის ფული, რომ ადგილზე დროულად ჩავიდნენ და შეისწავლონ საკითხი. სამწუხაროდ, ჯანდაცვის სამინისტრო, როგორც ჩანს, ბავშვთა უფლებებს და ბავშვთა სოციალურ დაცვას სათანადო ყურადღებას არ აქცევს და ამით საფრთხეს უქმნის ყველა სხვა სფეროს, სადაც გარკვეული მიღწევები გვაქვს, ან პროგრესი, ან პოტენციალი მიღწევებისთვის. და კიდევ, თუ არასრულწლოვანს განრიდებას გაუკეთებენ, სამწუხაროდ, იმავე სიტუაციაში ჩავარდება – ოჯახში არ ათენებს ღამეს, ანტისაზოგადოებრივ ქცევაშია ჩაბმული, მათხოვრობს და ა.შ., რა მნიშვნელობა აქვს, როგორი რეფორმა გვექნება მართლმსაჯულებაში? სხვა სფეროები ნიადაგს აცლიან იმ პროგრესს, რასაც ძალიან დიდი შრომით და ძალისხმევით მივაღწიეთ ერთ სფეროში. ვფიქრობ, იუსტიცია და შსს ინტერდისციპლინარულად უნდა მუშაობდნენ ჯანდაცვასა და განათლებასთან. მართლმსაჯულებაში ეს მიდგომა ნაწილობრივ იცვლება, მაგრამ თუ არ დაეხმარა სოციალური დაცვა და განათლების სისტემა, არაფერი შეიცვლება და ისევ იქ დავბრუნდებით, სადაც ვიყავით.

– 21 მარტი დაუნის სინდრომის დღეა, ხოლო 2 აპრილი – აუტიზმის ცნობადობის ამაღლების, როგორია შშმ ბავშვების ბედი ჩვენს ქვეყანაში და რა კეთდება მათთვის?

– მათთვის სახელმწიფოს მხრიდან, სამწუხაროდ, მინიმალური და ფრაგმენტული ღონისძიებები ტარდება – ერთი პროგრამა, ერთი კურსი, ერთი სკოლა, მაგრამ ეს არ არის ერთიან ხედვაში მოქცეული, ამიტომაც ვამბობთ ხოლმე, რომ ის, რაც იხარჯება, იხარჯება არასწორად.

ამ მიმართულებით დიდ პროგრესად მიმაჩნია, რომ ძალიან გაძლიერდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლების ფრთა. იმდენად, რომ მათ უკვე ვერაფერი შეაჩერებთ. თბილისში, რუსთავში, სოფლებში მშობლების საკმაოდ დიდი ჯგუფებია, რომლებიც არ ეპუებიან ამ უყურადღებობას. შეიძლება ამიტომაც წამოიწია შშმ ბავშვების საკითხმა წინ, ვიდრე, მაგალითად, მზრუნველობამოკლებული, ან ქუჩაში მყოფი, ან ეთნიკური უმცირესობების ბავშვთა საკითხებმა. სწორედ მშობლების აქტიურობა მოიტანს შედეგს. ჩვენი ორგანიზაცია მხარში ვუდგავართ და ვეხმარებით მათ, ისინი ამ პრობლემებზე ლაპარაკობენ და ჩვენ მათ სამართლის ენაზე ვუთარგმნით. მაგალითად, როცა შშმ ბავშვს, არდადეგების შემდეგ, სკოლაში დაბრუნებას უგვიანებენ, ეს დისკრიმინაციული პრაქტიკაა. აგვიანებს ბრძანება, ან ტრანსპორტში საწვავის ჩასხმა, ან მათთვის ოთახის გამოყოფა, ან სპეციალური მასწავლებლის დაქირავება და ამის გამო ინკლუზიურ ან ინტეგრირებულ კლასში შშმ ბავშვი თვე-ნახევრით გვიან იწყებს სწავლას, ვიდრე დანარჩენი მოსწავლეები. რა თქმა უნდა, ეს დისკრიმინაციის ფაქტია და, ასეთ შემთხვევაში, მივმართავთ სასამართლოს. აქამდე კი, ამგვარ ფაქტს ასეთი გამართლება ჰქონდა – აქამდე სულ არ დადიოდა და ახლა თუ დაიგვიანებს, რა უჭირსო. როგორც კი ფაქტს სამართლის ენაზე ვთარგმნით და მას დისკრიმინაციულ მოპყრობას ვუწოდებთ, მაშინვე არის სწრაფი რეაგირება იმიტომ, რომ დისკრიმინაციულ პრაქტიკას მოსდევს საჩივარი სახალხო დამცველთან, სასამართლოში, ხდება ზიანის განსაზღვრა და პასუხისმგებლობის დაკისრება. ამაში ძალიან დაგვეხმარა ანტიდისკრიმინაციული კანონი. კანონი კი სავალდებულოა როგორც სახელმწიფო უწყებებისთვის, ისე ჩვენთვის.

– „სად ვართ, სად ხართ, როდესაც ჩვენ თვალწინ ბავშვის ღირსება და ცხოვრება რისკის ქვეშ დგება? ეს ბავშვები ხვალ მოგვთხოვენ პასუხს და თითოეულ ჩვენგანს უმოქმედობაში დაგვადანაშაულებენ. ჩვენ ამაზე პასუხი არ გვექნება“ – რას ეტყვით, როგორ მოიქცეს საზოგადოება, რომ შემდეგ ბავშვების თვალებში ჩახედვა არ შეგვრცხვეს და კიდევ, როგორ იქცევიან სამართალდამცველები, როცა ხედავენ, რომ ბავშვის უფლებები ირღვევა?

– სამწუხაროდ, სამართალდამცველები ბავშვის უფლებების დარღვევას სერიოზულად არ აღიქვამენ, უბრალოდ ფიქრობენ, რომ ბავშვზე ძალადობა მისი აღზრდის და გაზრდის ნაწილია. რაც იმთავითვე შეცდომაა და ამ სტერეოტიპზე არავინ მუშაობს. მეორე – სამართალდამცველები ბავშვებს არ აღიქვამენ სრულფასოვან მოსარჩელედ, სრულფასოვან მოწმედ ან დაზარალებულად. მაგალითად, როცა ბავშვია მსხვერპლი, მას არავინ ესაუბრება, მის შესახებ ისევ სხვები საუბრობენ. ხშირად ამბობენ, რომ ის იტყუება, მაშინ, როდესაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში არსებობს ასეთი ჩანაწერი – თუ ბავშვს რაიმე ტიპის დანაშაული ეხება, პრეზუმციად უნდა აიღო, რომ ბავშვი არ იტყუება. იმიტომ, რომ ბავშვი მაქსიმალურად ცდილობს, ხმა მოგაწვდინოს, მისი ხმა არსად ისმის. როცა აჩუმებ და მის ყოველ სიტყვას ეჭვის თვალით უყურებ, ბუნებრივია, იქ სამართლიანობა დაცული ვერ იქნება. ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა უთქვამთ, ბავშვმა მოიტყუა გარყვნილი ქმედების შესახებ. ამას ეძახიან ბავშვის წინაშე სისტემის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ანუ ჩვენ ორი დამნაშავე გვყავს – ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა და მეორე – სისტემა, რომელმაც მსხვერპლს არ დაუჯერა და არ დაიცვა. ორივე თანაბარმნიშვნელოვანია. მომავალში, როცა მოწესრიგდება ბავშვთა უფლებების სფერო, დამერწმუნეთ, ორივეს მოეთხოვება პასუხი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ბავშვთა უფლებები ყველა ძირეულ რეფორმაში უნდა იყოს გათვალისწინებული – პროკურატურის, სასამართლოს, პოლიციის და ა.შ.

სამწუხაროა, საქართველოში ბავშვებს იმიტომ ვჩაგრავთ, რომ პატარები არიან, რაც უნდა ტრაგიკულად ჟღერდეს, ეს ასეა, ვინც ადვილი დასაჩაგრია, იმას ვჩაგრავთ. გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა გამოსცა დამატებითი პროტოკოლი, რომელიც ბავშვებს მისცემდა საშუალებას, საჩივარი დაეწერათ გაეროს კომიტეტისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ ამის რატიფიცირება არ მოახდინა – მიზეზი ისევ და ისევ ის არის, რომ გვინდა ბავშვები იყვნენ ჩუმად. იმედი გვაქვს, ეს მიდგომა შეიცვლება.

ჩვენი ორგანიზაციის სამუშაო სფეროა ბავშვთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე. ჩვენ უნდა გადავამზადოთ იურისტები ბავშვთა უფლებების მიმართულებით და მივაღწიოთ, რომ თავად ბავშვები გახდნენ საკუთარი უფლებების დამცველები სასამართლოში. მომავალი ორი წლის პრიორიტეტი სწორედ ეს საკითხებია. როცა სასამართლო იტყვის, რომ ბავშვს უნდა მოვუსმინოთ – მაშინ ბავშვებს ყველა მოუსმენს და მიზანსაც მივაღწევთ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

სკოლამდელი აღზრდა

ასოციაცია „ზეკარი“ სკოლამდელი დაწესებულებისთვის

ასოციაცია „ზეკარი“, რაჭის რეგიონის 13 სკოლამდელი დაწესებულებისთვის ახორციელებს პროექტს – „ამბროლაურის სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების მეთოდური ცენტრის შექმნა-ფუნქციონირება“. პროექტის ფარგლებში, სამიზნე სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებისთვის შეიქმნა სპეციალური ტრენინგ-პროგრამები და დაიწყო ამ პროგრამებით ბენეფიციართა გადამზადება. ტრენინგები პრაქტიკული ხასიათისაა და სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელს, მასწავლებელს, ლოგოპედს, ფსიქოლოგს საშუალება აქვს გაიაროს კეთებაზე ორიენტირებული სწავლება. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ყველა საბავშვო ბაღისთვის შეძენილია დიდაქტიკური სათამაშოების პაკეტი, რომელიც საჩუქრად გადაეცემა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს.

2016 წლის 11 მარტს, ამბროლაურში, სასტუმრო „სილოვანში“ გაიმართა ასოციაცია „ზეკარის“ მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრა, სადაც ადგილობრივ საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია პროექტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროექტი დაფინანსდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროექტის (რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის აღმასრულებელი პარტნიორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. საინფორმაციო შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ: გაეროს განვითარების ფონდის, სამოქალაქო განვითარების საგენტოს წარმომადგენლები, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, ამბროლაურის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი მედია.

მანანა ბოჭორიშვილი, ასოციაცია „ზეკარის“ ხელმძღვანელი: *„მოგეხსენებათ, რაჭა მაღალმთიანი რეგიონია, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ამას მოწმობს სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების რიცხვი, რომელიც საქართველოს რეგიონებს შორის, პროცენტულად, ყველაზე დიდია. ასევე მაღალია დაბერების მაჩვენებელი (http://static.mrdi.gov.ge/52b30ed80cf2f9b6fab6b48b.pdf იხ. მონაცემები რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-21 გვ 5-7). ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ დაბალია სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი. რაც განპირობებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემით. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში სკოლამდელი განათლებისთვის გამოყოფილი თანხები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე (ბაღების რეაბილიტაცია-მშენებლობა) იხარჯება და მასწავლებელთა გადამზადება და ბაღებისათვის სასწავლო რესურსების შეძენა ვერ ხერხდება. სწორედ ამ პრობლემების გათვალისწინებით დაიწერა ჩვენი პროექტი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით განხორციელდება.“*

გოჩა კობახიძე, პროექტის კოორდინატორი: *„პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მომზადდა პრაქტიკული ხასიათის ტრენინგ-პროგრამები სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულების კადრებისთვის, შედგა საინფორმაციო შეხვედრები, ჩვენი პროექტის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ საზოგადოებას, ბენეფიციარებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, მედიას. მიმდინარეობს სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულების კადრების გადამზადება; პარალელურად მიმდინარეობს სკოლამდელ დაწესებულებებში სასაჩუქრე კომპლექტების (სათამაშოები და საგანმანათლებლო რესურსები) გადაცემა.“*

თამარ ადამია, მოწვეული სპეციალისტი, ტრენერი: *„ვფიქრობ, ასეთი ტიპის ტრენინგები ძალიან დაეხმარება სკოლამდელ დაწესებულებებს. ტრენინგზე მსმენელები გაეცნობიან ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, თამაშის ფენომენის თეორიულ საფუძვლებს, განსაკუთრებით ეფექტურია სხვადასხვა სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული თამაშების სიმულაციები – კონკრეტული სათამაშოების/რესურსების გამოყენებით. ტრენინგი ითვალისწინებს, რომ მსმენელებმა თვითონაც შექმნან სხვადასხვა სათამაშოები და მოიფიქრონ თამაშები განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელებისათვის.“*

მაკა ყიფიანი

თვალსაზრისი

ჩვენი ქვეყნის პერსპექტივა საუბარი მოსწავლეებთან

ალბათ ყველა ჩვენგანისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენ წელიწადში შეიძლება აღმოიფხვრას სიღარიბე?

როგორც ვიცით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, წელიწადში, შეადგენს $3500-ს, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ერთ მოსახლეს, წელიწადში, საშუალოდ, $3500 შემოსავალი აქვს, თვეში კი – $292.

იმისათვის, რომ ქვეყანამ მასობრივ დონეზე გადალახოს სიღარიბე, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ერთ სულზე, უნდა იყოს $15000. დაახლოებით, იგივეა ევროკავშირში გაწევრიანების უმთავრესი ინდიკატორი – $12000.

ისმის კითხვა: როდის შეძლებს საქართველო გადალახოს აღნიშნული ზღვარი – მშპ ერთ სულზე შეადგენდეს $15000-ს. ამ კითხვაზე პასუხისთვის საჭიროა გამოვიყენოთ რთული პროცენტის ფორმულა: $a(1+0,01Xp)^n$, სადაც, a არის თავდაპირველი თანხა, p – პროცენტი, n – წლების რაოდენობა. აღნიშნული ფორმულის გამოყენებით შევძლებთ გამოვთვალოთ რამდენი წლის შემდეგ (n), რამდენპროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში(p), შევძლებთ სიღარიბის ზღვრის გადალახვას, იმ პირობებში, როდესაც თავდაპირველი მონაცემები, მშპ ერთ სულზე, (a) შეადგენს $3500-ს.

განვიხილოთ სამი მაგალითი:

ა) როდესაც ეკონომიკური ზრდა, ანუ მშპ-ს ზრდა შეადგენს 3%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ 3%-იანი ეკონომიკური ზრდა განიმარტება, როგორც ეკონომიკური სტაგნაცია, ანუ ეკონომიკის გაჩერება; ბ) როდესაც ეკონომიკური ზრდა შეადგენს 5%-ს; გ) როდესაც ეკონომიკური ზრდა შეადგენს 10%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ 10%-იანი ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია. საქართველოს, როგორც ღარიბი ქვეყნის, ეკონომიკური ზრდა სწორედ ასეთი მაღალი უნდა იყოს, რადგან ჩვენ შემთხვევაში მოქმედებს ისეთი მაკროეკონომიკური კანონი, როგორიცაა „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ კანონი.

1. თუ ეკონომიკური ზრდა იქნება 3%,სიღარიბის ზღვარს გადავლახავთ მხოლოდ 50 წლის შემდეგ. გამოვიყენოთ ფორმულა: $a(1+0,01Xp)^n = 3500(1+0,01X3)^{50} = \$15343$.

2. თუ ეკონომიკური ზრდა იქნება 5%, სიღარიბის ზღვარს გადავლახავთ 30 წელიწადში:

$a(1+0,01Xp)^n = 3500(1+0,01X5)^{30} = \$15126$

3. ხოლო თუ ეკონომიკური ზრდა იქნება 10%,სიღარიბის ზღვრის გადალახვას შევძლებთ 16 წელიწადში:

$a(1+0,01Xp)^n = 3500(1+0,01X10)^{16} = \$16082$

ამჯერად საჭიროა დაისვას კითხვა: **რა არის საჭირო იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშპ-ს ზრდის მაღალ ტემპებს?**

ქვეყნის მშპ-ს, ანუ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რასაც ცხადყოფს ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ. ახალი სამუშაო ადგილების 2/3 სწორედ მცირე საწარმოებში იქმნება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირებისათვის **საჭიროა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის სამინისტრო**. დღეისათვის, საქართველოში, მოქმედებს მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ სამინისტროს ფორმირება იქნება გამოხატულება იმისა, რომ სახელმწიფო მას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს და მზადაა მისი სოლიდური ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერისათვის.

სამინისტროს ფარგლებში, საჭიროა შეიქმნას **მუნიციპალური ოფისები** ყველა რაიონში, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს ისეთი სფეროების სპეციალისტებისგან, როგორიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსური მენეჯმენტი, ბიზნესის სამართალი და სოფლის მეურნეობა. მათი გამოვლენა უნდა მოხდეს გამოცდების გზით, კომპეტენციის მაღალი ზღვრის გადალახვის შედეგად.

მუნიციპალურ ოფისებს, ძირითადად, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ოთხი ფუნქცია:

1. ბიზნესის რეგისტრაცია. სასურველია, ბიზნესთან დაკავშირებული ყველა ფუნქციის განხორციელება თავმოყრილი იყოს ერთ ოფისში. მხედველობაში მაქვს ის, რომ ბიზნესის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით რეგისტრირების ფუნქცია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, გადაეცეს მცირე და საშუალო ბიზნესის მუნიციპალურ ოფისებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ბიზნესის რეგისტრაცია, დღეისათვის, საქართველოში, იმდენად გამარტივებულია, რომ ამ ინდექსის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მე-8 ადგილზეა.

2. ხელშეწყობა ბიზნესგეგმის შემუშავებაში. მიზნობრივ მეწარმეს, რომელიც დარეგისტრირდა მუნიციპალური ოფისის მიერ, უნდა წარედგინოს გამარტივებული ანკეტა, სადაც მოკლედ უნდა აღწეროს ბიზნესიდეა.

მუნიციპალური ოფისის მულტიდისციპლინური გუნდი განიხილავს ინიცირებულ ბიზნესიდეას და თუ ის პროგრესული და მომგებიანია, მიზნობრივ მეწარმეს ბიზნესიდეის ბიზნესგეგმამდე განვითარებასა და მის კომერციალიზაციაში ეხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზნობრივი მეწარმე და მულტიდისციპლინური გუნდი ერთობლივად იმუშავებენ ბიზნესგეგმის შემუშავებაზე.

თუ ინიცირებული ბიზნესიდეა პერსპექტიული და მომგებიანი არ იქნება, მუნიციპალური ოფისი მიზნობრივ მეწარმეს მოსაზღვრე ან ალტერნატიულ იდეებს შესთავაზებს და, თანხმობის შემთხვევაში, ბიზნესგეგმა ერთობლივად შემუშავდება.

3. ბიზნესის დაფინანსება. ბიზნესის დაფინანსება უნდა იყოს:

❖ გრძელვადიანი;

❖ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით. საპროცენტო განაკვეთი, საკმაოდ შეღავათიანი, შეიძლება დაწესდეს უკვე წარმატებული და მზარდი ბიზნესის დაფინანსების შემთხვევაში;

❖ უზრუნველყოფის პრინციპის გარეშე. ეს იქნება სტარტაპის (ბიზნესის დაწყების) მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი;

❖ დაფინანსება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, მიზნობრივად და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის შემდეგ.

თუ მცირე და საშუალო ბიზნესის წლიური დაფინანსება 100 მილიონი ლარი იქნება, შესაძლებელი გახდება წელიწადში, დაახლოებით, ათასი საწარმოს შექმნა, თუ ერთი საწარმოს დასაფინანსებლად გაიცემა, დაახლოებით, 100 ათასი ლარი (მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა 100 ათას ლარამდეა), რაც ქართული მცირე ბიზნესის კოლოსალურ ზრდას განაპირობებს.

4. მეოთხე უმთავრესი ფუნქცია უნდა იყოს **დახმარების გაწევა ბიზნესის წარმართვაში**. აქ იგულისხმება გამუდმებული კონსულტაციები და ტრენინგები (უფასო) მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების, ბიზნესის სამართლის, დროის მენეჯმენტის, რისკოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეწარმეობის სფეროში საზოგადოების ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის, რაც ქვეყანაში ბიზნესის განვითრების ფუნდამენტური ფაქტორი იქნება, საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეწარმეობის საფუძვლების სწავლება სავალდებულო გახდეს და რამდენიმე სასწავლო წელი დაეთმოს. ამასთან, სწავლება უნდა მოიცავდეს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ნაწილებს.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ოთხი უმთავრესი პრინციპი, რომელსაც ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა დაეყრდნოს. ესენია:

– სწორი ორგანიზება და მართვა;
– სტარტაპის სტიმულირება;
– ცოდნა;
– სათანადო ფინანსური მხარდაჭერა.

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, მეწარმეობის საფუძვლების მასწავლებელი

ინფორმაცია

საქართველოში ესტონეთის ელჩის საჯარო ლექცია

21 მარტს, „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, გაიმართა საქართველოში ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის **პრიიტ ტურკის** შეხვედრა სკოლის მსმენელებთან და ადმინისტრაციასთან.

ელჩმა დამსწრე საზოგადოებისათვის წაიკითხა ლექცია: „საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში სწავლა 2016 წლის პირველი ნაკადისთვის 15 მარტს განახლდა. საჯარო მოსამსახურეები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და ქალაქებიდან (მარნეული, წალკა, ლამბალო, ბოლნისი, დმანისი, ახალქალაქი, ლაგოდეხი, გარდაბანი, საგარეჯო, ნინოწმინდა, ცაგერი, ამბროლაური, ხარაგაული, ყაზბეგი, დუშეთი, შუახევი) გადამზადებას საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის დარგობრივ კურსებზე გადიან.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 2005 წელს დაარსდა. აქ საჯარო მოხელეთა გადამზადება ორი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა და საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებით ხელს უწყობს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას.

პანკისის ხეობიდან მოსწავლეების სტუმრობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. დუისელ მოზარდებს, თბილისის 202-ე საჯარო სკოლაში, „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ამუშავებული კითხვის კლუბის წევრებმა სუსტადმხედველი მოზარდებისა და თემში მდებარე 77-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით დაგეგმილი აქტივობები გააცნეს და ურჩიეს, მათაც შექმნან კითხვის კლუბი, რომელიც საერთო მიზნის გარშემო გააერთიანებს პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტ, ჩეჩენ და ახმეტის რაიონის საჯარო სკოლების მოზარდებს.

სამინისტროში მყოფ მოსწავლეებს, ასევე, შეხვდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**.

სასკოლო კონკურსი

ფოტოსინთეზი 2016

21 მარტს, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გაიმართა სასკოლო კონკურსის „ფოტოსინთეზი 2016“ ფინალური ფოტოგამოფენა და ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიით დაჯილდოების ცერემონია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ხელმძღვანელი პირების გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პარტნიორი სახელმწიფო, საერთაშორისო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. I, II და III ხარისხის პრემიები გადაეცათ „ფოტოსინთეზის“ გამარჯვებულებს, რომლებიც ჟიურიმ 53 ფინალისტისგან შეარჩია. გარდა ამისა სპონსორებმა ფინალისტი ბავშვები მრავალი სპეციალური პრიზით გაანებივრეს. მათი სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ერთ-ერთმა დაჯილდოებულმა გოგონამ სამადლობელი სიტყვის დროს, მოზღვავებული ემოციებისგან, კინაღამ გონება დაკარგა, საბედნიეროდ წამყვანი დროზე მიეშველა. მისი გულიდან ამოსული აზრები ყველასთვის ნათელი იყო.

„ფოტოსინთეზი 2016“-ის თემა იყო „საქართველოს ფაუნა – ფოტოგრაფია vs ნადირობა“ და მამართული იყო ბრაკონიერობის წინააღმდეგ, რაც დიდი საფრთხეა ველური ბუნებისთვის, ასევე ქვეყნის განვითარებისა და მომავალი თაობის ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

ფოტოკონკურსი განხორციელდა პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის“ (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. პრემია 2014 წელს CENN-ის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ინიციატივით დაფუძნდა.

პირველი პრემიის ლაურეატი, 16 წლის **მარიამ მამულაშვილი,** თელავის მე-9 საჯარო სკოლის მე-10 კლასის წარმატებული მოსწავლეა. წლის ბოლოს ბიოლოგიის მასწავლებელმა **ნინო შოშიაშვილმა** ბავშვებს მისცა დავალება, ზაფხულის არდადაგების განმავლობაში, თუ რაიმე საინტერესო ცხოველს ან ფრინველს გადაეყრებოდნენ, სურათი გადაეღოთ.

მარიამმა ზაფხული თუშეთში გაატარა და მთელი ეს პერიოდი ფოტოაპარატაკიდებული ხეტიალობდა. ყველაზე იღბლიანი მოგზაურობის ბოლო დღე აღმოჩნდა, როცა მდინარის გადაღმა დათვები დაინახა, გაახსენდა მასწავლებლის დავალება, გადმოვიდა მანქანიდან და აზარტულად შეუდგა ბუნების საოცარი სილამაზის ფოტოზე აღბეჭდვას. მას არ ესმოდა მშობლების შეშინებული შეძახილი – სასწრაფოდ დაბრუნდი მანქანაშიო. თავის სტიქიაში იყო.

ჩვენს შეკითხვაზე – მარიამ, როგორ არ შეგეშინდა დათვების ოჯახის ასე ახლოდან გადაღების, პასუხი ასეთი იყო – ამაზე არ მიფიქრიაო.

მარიამს, როგორც გამარჯვებულს, გადაეცა ლეპტოპი და ორი სპეციალური პრიზი.

მარიამ მამულაშვილი

სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარებას გეგმავს, ოცნებობს, პედიატრი გამოვიდეს.

რევაზ თოფურია

21 მარტი – დაუნის სინდრომის დღე

ჩემი მეგობრები – ჩემი გარემოცვა

ერთი ქრომოსომა და ზღვარი, რომელიც რეალურად არ არსებობს – **21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის დღეს აღნიშნავს.** ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის და საქართველოში პლასტიკის საერთაშორისო ცენტრის თანამონაწილეობით (ხელმძღვანელი – **ამირან შალიკაშვილი**), საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით – **მე და ჩემი მეგობარი.** ღონისძიების ფარგლებში, მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეებს და მათ მეგობრებს უმასპინძლა. ბავშვების მხიარულ განწყობაზე პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა იზრუნეს.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. 21.03 გარკვეული სიმბოლოს მატარებელია, დაუნის სინდრომი ვლინდება 21-ე ქრომოსომის გასამებით.

წლევანდელი საერთაშორისო სლოგანია „ჩემი მეგობრები – ჩემი გარემოცვა“.

დღევანდელი ბავშვისა და მომავალი ზრდასრულისთვის ინკლუზიური გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს. წლებთან ერთად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, აქტივობების, საკანონმდებლო აქტების, საინფორმაციო კამპანიების საფუძველზე, ინკლუზიური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ბევრი რამ გაკეთდა როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, ისე სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის.

2013 წლიდან, ნებისმიერი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის, შესაძლებელი გახდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირება, ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და პროფესიის დაუფლება.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, თამარ სანიკიძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა სკოლების ადმინისტრაციას და მასწავლებლებს, უზრუნველყონ შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მათ შორის დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეებისთვის, რათა მათ თანატოლებთან ერთად მიიღონ შესაბამისი განათლება და იყვნენ სრულად ინტეგრირებული სასწავლო პროცესში.

პედაგოგთა დასახმარებლად

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

რიცხვის პოზიციური ჩაწერა, თანრიგები

ჩვენ ვიცით რიცხვთა ჩაწერის რომაული სისტემა. მასში ყოველ ნიშანს ერთადერთი რაოდენობა შეესაბამება. მაგ., **I** ყველგან აღნიშნავს ერთს, **V** – ხუთს და სხვ. სულერთია, რომელ ადგილას, ანუ რომელ პოზიციაში წერია ეს ნიშნები.

ასეთივეა რიცხვთა ჩაწერის ძველი ქართული სისტემაც. ასო **ა** ყველა პოზიციაში აღნიშნავს ერთს, ასო **ჩ** – ათასს, ასო **ყ** – რვაასს და სხვ. ჩანაწერები **ჩყა, ყჩა, აჩყ** და ა.შ. – ყველა აღნიშნავს რიცხვს 1801 (თუმცა მიღებულია, რომ დაიწეროს ჯერ უდიდესი რიცხვის აღმნიშვნელი ასო, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის).

განვიხილოთ მრავალნიშნა რიცხვის დაშლა სათანრიგო შესაკრებთა ჯამად, მაგალითად:

1205903 = 1 · 1000000 + 2 · 100000 + 0 · 10000 + 5 · 1000 + 9 · 100 + 0 · 10 + 3

მილიონთა ასიათასეულთა ათიათასეულთა ათასეულთა ასეულთა ათეულთა ერთეულთა

თ ა ნ რ ი გ ე ბ ი

რაოდენობის ამგვარ წარმოდგენას სათანრიგო შესაკრებთა ჯამად და, შესაბამისად, ამ რაოდენობის ციფრულ ჩაწერას რიცხვად, ეწოდება **თვლის პოზიციური სისტემა**. პოზიციური – ე.ი. პოზიციაზე დამოკიდებული. ეს სისტემა ძველმა ინდოელმა მეცნიერებმა მოიგონეს. მანამდე რიცხვის აღნიშვნები კი არსებობდა, მაგრამ თითოეულ აღნიშვნას ერთადერთი რიცხვი შეესაბამებოდა – ყველა პოზიციაში. მაგ., რომაული **X** ყველა პოზიციაში აღნიშნავს 10-ს, ქართული **ჟ** ყველა პოზიციაში – 90-ს: **ჟ** = 90, **ჟა** = 91, **ტჟ** = 390... ინდოელების უდიდესი აღმოჩენა იყო 0-ის შემოღება (რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა პოზიციური სისტემის აგება) და იმის მიხვედრა, რომ დიდი რიცხვების ჩაწერა თითქმის შეუძლებელია თანრიგების, ანუ პოზიციების გარეშე. მაგ., პოზიციურ ჩანაწერში 333 ერთი და იგივე ნიშანი 3 აღნიშნავს ან 3-ს, ან 3 ათეულს (30-ს), ან 3 ასეულს (300-ს). ხოლო ერთსა და იმავე პოზიციაში (თანრიგში) ციფრს ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. მაგ., ციფრი 3, დაწერილი ბოლოსწინა პოზიციაში (თანრიგში), ყოველთვის აღნიშნავს ოცდაათს.

თანრიგი – ესაა რიცხვის პოზიციურ ციფრულ ჩანაწერში ცარიელი ადგილი.

მაგალითად, სამნიშნა რიცხვის ასეულების თანრიგში ჩაწერილი ციფრი გვიჩვენებს, თუ რამდენი ასეულია ამ რიცხვში, ხოლო ათეულების თანრიგში ჩაწერილი რიცხვი – ამ ასეულთა გარდა კიდევ რამდენი ათეულია. ე.ი. პოზიციური სისტემა – ეს იგივე თანრიგობრივი სისტემაა.

სწორედ ამის საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომ სულ რაღაც ათი ცალი ნიშნით (ციფრით) აღინიშნოს და ჩაიწეროს უთვალავი სხვადასხვა რიცხვი, რაგინდ დიდები.

საინტერესოა, რომ ძველმა ბერძნულმა მეცნიერებამ საოცრად მაღალ დონეს მიაღწია, მაგრამ ევროპელებმა რომაულ და ბიზანტიურ ხანაშიც კი ვერ გაიაზრეს 0-ის ცნება! ნული და თანრიგობრივი სისტემა, ევროპასა და საქართველოში, ინდოეთიდან შემოიტანეს არაბებმა, თანაც საქართველოში – უფრო ადრე, ვიდრე ევროპაში – უკვე X საუკუნეში. ქართველებმა მას „ნულა“ უწოდეს, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ნულის გადამწყვეტი მნიშვნელობა. „ნულა“, ძირითადად, მხოლოდ ქართულმა ეკლესიამ შეითვისა, ხოლო საერო ყოფა-ცხოვრებაში ისევ ძველებურ ქართულ არათანრიგობრივ სისტემას იყენებდნენ. სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში ჩაწერა: *„ესე ნულა ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია. ყოველნი ქრისტიანენი, ჰურიანი, გინა წარმართნი ამის მიერ რიცხავენ. ქართველთა, მიკვირან, რად არა დასჭვრიტეს, ანუ წმიდათა მამათა დაუტევეს“.*

რიცხვში ერთეულთა, ათეულთა, ასეულთა... რაოდენობა

განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული, ტიპური შეცდომა. შეკითხვაა: – რამდენი ათეულია რიცხვში 318? რამდენი ერთეულია? პასუხი ხშირად ამგვარია: 318-ში არის 1 ათეული და 8 ერთეული. ეს უხეში შეცდომაა. 318-ში არის არა 1, არამედ 31 ათეული! და არის არა 8, არამედ 318 ერთეული! ამასთან, 318-ში არის 3 ასეული **და კიდევ** (ე.ი. ასეულთა გარდა) 1 ათეული **და კიდევ** (ე.ი. ათეულთა გარდა) 8 ერთეული. „და კიდევ“ იგივეა, რაც „ნაშთი“.

ასევე, 15-ში არის არა 5, არამედ 15 ერთეული. ამასთან, 15-ში არის 1 ათეული **და კიდევ** (ე.ი. ათეულთა გარდა) 5 ერთეული.

მასწავლებელმა ზუსტი გამოთქმები უნდა იხმაროს. საზოგადოდ, მათემატიკა სიზუსტეს მოითხოვს.

ვთქვათ, მოცემულია რაიმე მრავალნიშნა რიცხვი, მაგალითად, **201865**. გამოვყოთ მასში სათანრიგო სამეულები: **201'865**. უკვე გამოჩნდა ყველა თანრიგი. პირველი ციფრი 2 პირდაპირ გვიჩვენებს ამ რიცხვში ასიათასეულთა რაოდენობას.

ახლა ციფრული ჩანაწერი „გავკვეთოთ“ ნებისმიერ ადგილას, მაგ.: **20|1'865**. რას გვიჩვენებს 20? გვიჩვენებს მოცემულ რიცხვში ათიათასეულთა რაოდენობას, რადგან 0 ათიათასეულთა თანრიგში ზის. რას გვიჩვენებს 0? გვიჩვენებს მოცემულ რიცხვში **ასიათასეულთა გარდა** მორჩენილ ათიათასეულთა რაოდენობას (არც ერთი არ რჩება). რას გვიჩვენებს 1? გვიჩვენებს მოცემულ რიცხვში **ათიათასეულთა გარდა** მორჩენილ ათასეულთა რაოდენობას.

ასევე, 201 გვიჩვენებს მოცემულ რიცხვში ათასეულთა რაოდენობას, ხოლო 8 – **ათასეულთა გარდა,** მორჩენილ ასეულთა რაოდენობას; 2018 გვიჩვენებს მოცემულ რიცხვში ასეულთა რაოდენობას, 6 – **ასეულთა გარდა,** მორჩენილ ათეულთა რაოდენობას, 65 – **ასეულთა გარდა** მორჩენილ ერთეულთა რაოდენობას, ხოლო 5 – **ათეულთა გარდა,** მორჩენილ ერთეულთა რაოდენობას და ა.შ.

სიდიდეები და მოქმედებანი მათზე

სიგრძეს, წონას, დროს, ღირებულებას აქვს ერთი საერთო სახელი: **სიდიდე.** სიდიდეები სხვანაირიცაა.

სიდიდე შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა ერთეულებით. მაგ., სიგრძე შეიძლება გაიზომოს მეტრებით, კილომეტრებით, სანტიმეტრებით და სხვ. ამიტომ სიდიდეთა გაზომვის შედეგის ჩასაწერად არაა საკმარისი მარტო რიცხვების ჩაწერა, აუცილებელია ერთეულების მითითებაც. მაგ., უაზროა ვთქვათ, რომ ადამიანის სიმაღლეა 170, უნდა ვთქვათ, რომ ადამიანის სიმაღლეა 170სმ.

სიდიდეთა გაზომვის შედეგებია: 5სმ, 3კგ, 6სთ, 7 ლარი და სხვ. სიმოკლისათვის მათაც „სიდიდეები“ დავარქვათ. ე.ი. სიდიდეებია აგრეთვე: 5დმ, 3სმ, 1 დღე-ღამე, 700გ, 0 წამი, 12 დოლარი, 1მლნ. წელიწადი და სხვ.

სიდიდეები შეიძლება გავამრავლოთ ან გავყოთ რიცხვებზე. შედეგად მიიღება ისეთივე სიდიდეები. მაგალითად:

7 · 3სმ = 3სმ · 7 = 21სმ, 42კგ : 2 = 21კგ, 4წთ : 4 = 1წთ და სხვ.

ერთგვარი სიდიდეები შეიძლება მიემატოს ან გამოაკლდეს ერთმანეთს (წონას – წონა, დროს – დრო, ღირებულებას – ღირებულება...), სხვადასხვაგვარები კი – არა (მაგ., სიგრძეს – წონა). მაგალითად:

7კგ + 3კგ = 10კგ, 1სთ - 20წთ = 40წთ,
5მ + 17სმ = 5მ 17სმ, 20 თეთრი - 20 თეთრი = 0 თეთრი.

ერთგვარი სიდიდეები იყოფა ერთმანეთზე და შედეგად რიცხვი (არა სიდიდე!) მიიღება.

მაგ.: 12მ : 4მ = 3, 1კგ : 200გ = 1000გ : 200გ = 5 და სხვ.

ხოლო სხვანაირი მოქმედებანი სიდიდეებზე უაზროა, მაგ.:
ჩანაწერები 5მ + 3კგ, 6ტ - 5სთ – უაზროა და არ უნდა გამოვიყენოთ.
ასევე უაზროა ჩანაწერები: 5მ + 3, 6 ლარი - 5 და ა.შ.
თუკი გამოსახულება შეიცავს სიდიდეებს, მას **სიდიდეებიანი გამოსახულება** ჰქვია.
მაგ.: 2(25 ლარი + 20 თეთრი), 4კგ - 3გ.

სიდიდეები – ესაა ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელი მათემატიკისა პრაქტიკასთან, ყოფა-ცხოვრებასთან. მაგალითისთვის განვიხილოთ ამოცანა:

> რა ოდენობის წვენია ვაშლის წვენის სავსე ყუთში?
> შეარჩიეთ შემდეგთაგან შესაძლო პასუხი:
> ა) 2 კილომეტრი; ბ) 2 ვაშლი;
> გ) 2 მეტრი; დ) 2 კილოგრამი;
> ე) 200 კილოგრამი; ვ) 2 გრამი.

ამ ამოცანაში მართებულ პასუხს ირჩევს ჩვენი მეოთხეკლასელების ნახევარზე ნაკლები, ანუ მრავალ მეოთხეკლასელს ჰგონია, რომ წვენის ოდენობა შეიძლება იყოს 2კმ, ან 2მ, ან 2 ვაშლი, ან 200კგ...

უფრო მეტიც, როგორც გვიჩვენებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, არათუ დაწყებითი, არამედ თვით უფროსი კლასების მათემატიკის მასწავლებლებსაც კი არა აქვთ განვითარებული პრაქტიკული გამოთვლებისა და პრაქტიკული მიახლოებითი შეფასების, სიდიდეთა ურთიერთგადაყვანის უნარ-ჩვევები.

ამიტომ **დაუშვებელია, რომ ჩვენს სასკოლო მათემატიკაში სიდიდეთა სწავლებასმ პრაქტიკული გამოთვლების უნარ-ჩვევებს არ ექცევა საკმარისი ყურადღება**.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასკოლო მათემატიკაში მთავარია რიცხვები. უფროს კლასებში კი მოსწავლეს თითქმის აღარ აქვს შეხება რიცხვებთან, მათემატიკა, ძირითადად, მხოლოდ ალგებრულ გამოსახულებებზეა დაყვანილი. ხოლო დაწყებით კლასებში თითქმის არ ისწავლება ზეპირი ანგარიშის პრაქტიკული ხერხები. მათ მასწავლებელთა უმრავლესობაც კი ვერ ფლობს. ქვეშმიწერით ანგარიში ყოფა-ცხოვრებაში ყველაზე ნაკლებადაა გამოსადეგი. პრაქტიკულად, ყველაზე საჭიროა ზეპირი ანგარიში, შემდეგ კი – კალკულატორით ანგარიში. თუმცა, კალკულატორის შემოტანა VII კლასამდე გაუმართლებელია, ისიც მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების დაანგარიშებისთვის უნდა გამოიყენოს მოსწავლემ.

კიდევ ერთი მეთოდიკური შეცდომაა დაწყებით კლასებში – თითების გამოყენების აკრძალვა. თითები არითმეტიკულ მოქმედებათა ერთ-ერთი საუკეთესო თვალსაჩინო მოდელია და ბავშვმა ისინი მანამდე უნდა გამოიყენოს, სანამ სჭირდება.

40. შემდეგთაგან რომელი ცნებაა დანარჩენი სამისგან გამორჩეული?
ა) პოზიციური სისტემა; ბ) თანრიგობრივი სისტემა; **გ) ნული;** დ) ნულა.

03. I. რა ციფრი წერია 609-ის ათეულების თანრიგში? II. რამდენი ათეულია იმავე რიცხვში? III. რამდენი ათასეულია?
ა) I. 6, II. 60, III. 0; **ბ) I. 0, II. 60, III. 0;** გ) I. 0, II. 609, III. 0; დ) I. 9, II. 69, III. 1;
ე) I. 1, II. 60, III. 0; ვ) I. 6, II. 600, III. 0; ზ) I. 6, II. 1, III. 609.

36. გაარკვიეთ, რას აღნიშნავს ნატურალური რიცხვის ჩანაწერში მითითებული ციფრი:
1. 315-ში რას აღნიშნავს 3-იანი? 2. 315-ში რას აღნიშნავს 1-იანი?
3. 315-ში რას აღნიშნავს 5-იანი? 4. 40935-ში რას აღნიშნავს 0-იანი?
5. 40935-ში რას აღნიშნავს 9-იანი?

თითოეულ ამ შეკითხვას შეუსაბამეთ მართებული და ზუსტი პასუხი შემდეგთაგან (მათგან ზოგი პასუხი სულ არ დაგჭირდებათ) – აღნიშნავს რაოდენობას:
I. ერთეულთა; II. ათეულთა; III. ასეულთა; IV. ათასეულთა; V. ათიათასეულთა;
VI. ათეულთა გარდა მორჩენილ ერთეულთა; VII. ასეულთა გარდა მორჩენილ ათეულთა;
VIII. ათასეულთა გარდა მორჩენილ ასეულთა; IX. ათიათასეულთა გარდა მორჩენილ ათასეულთა.
მართებული პასუხების ნომრები დაალაგეთ შესაბამისი შეკითხვების თანმიმდევრობით:
ა) III, II, I, IV, VIII; ბ) VIII, III, VII, VI, IX, VIII; გ) III, II, I, IV, III; დ) III, II, I, IX, III;
ე) IV, III, II, V, I; ვ) III, VII, VI, VIII, VII; **ზ) III, VII, VI, IX, VIII;** თ) III, VII, VI, V, VIII.

21. რომელია უდიდესი შემდეგ სიგრძეთა შორის?
ა) მილიონი სმ; ბ) 12 მილიონი მმ; გ) 161000დმ;
დ) 1045609 5მმ; **ე) 25000მ;** ვ) 14კმ; ზ) 10კმ 900მ.

01. წინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან რომელს ეტყობა ყველაზე აშკარად, ანგარიშის გარეშეც, რომ მცდარია? **(ზ)**

20. იმავე ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ უმცირესი სიდიდე. **(ა)**

06. იმავე (ა)-(ვ) ასარჩევ პასუხებს ჩამოაცილეთ საზომი ერთეულები, დატოვეთ მხოლოდ იგივე ნატურალური რიცხვები და ამ რიცხვებიდან ((ზ)-ს გარდა) მოძებნეთ უდიდესი. **(ბ)**

49. შემდეგთაგან მოძებნეთ მოსწავლისთვის ყველაზე უჩვეულო სიახლე, რომელიც პირველად თავს იჩენს სამნიშნა რიცხვების შესწავლისას და კიდევ უფრო რთულდება მრავალნიშნა რიცხვების შესწავლისას:
ა) ბოლო ნულიანის გაჩენა – მაგ.: 380-ს არ გააჩნია ნაშთად ერთეულები.
ბ) შუა ნულიანის გაჩენა – რატომ იწერება, მაგ., 402 და არა 42.
გ) ის, რომ ასეულების თანრიგში არ შეიძლება იყოს ნულიანი – მაშინ ხომ რიცხვი არ იქნებოდა სამნიშნა.
დ) ასეულთა თანრიგის დამატება, რაც ართულებს რიცხვის აგებულებას.

40. რომელია შემდეგთაგან ყველაზე ქმედითი მეთოდიკური საშუალება საიმისოდ, რომ მოსწავლეს არ ეხამუშოს წინა ამოცანის სიახლე?
ა) მოსწავლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს რიცხვის ქართული სახელწოდების აგებულება და შეეძლოს ამ სახელწოდების ახსნა და დასაბუთება (ქართული სახელწოდების თავისებურება კი ყველაზე მეტად სწორედ სამნიშნა რიცხვების ფარგლებში იჩენს თავს).
ბ) მოსწავლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ რიცხვის ჩანაწერისთვის მარჯვნივ ნულიანის მიწერით ეს რიცხვი 10-ჯერ დიდდება; უნდა ესმოდეს ისიც, თუ რატომ ხდება ეს.
გ) მოსწავლე ორნიშნა რიცხვების ფარგლებშივე უნდა მიეჩვიოს, რომ რიცხვის ჩანაწერისთვის მარცხნივ ნულიანების მიწერით ეს რიცხვი არ იცვლება, მაგ.: 5 = 05 = 005, 26 = 0026...
დ) მოსწავლეს ორნიშნა რიცხვების ფარგლებშივე კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა არის თანრიგი საზოგადოდ (რათა შემდეგ ბუნებრივად მიიღოს ასეულთა თანრიგიც).

26. აარჩიეთ შემდეგთაგან საუკეთესო მეთოდიკური საშუალება წინა ამოცანის მართებული პასუხის სასწავლო შედეგის **შ ე ს ა მ ზ ა დ ე ბ ლ ა დ** III კლასში:
ა) რიტმის გამოყენება; **ბ) ტელეფონის ნომრების განხილვა;**
გ) სასკოლო ნიშნების განხილვა; დ) ქუჩაში სახლების ნომრების განხილვა;
ე) ფულთან დაკავშირება; ვ) დახრილი ხაზით აღნიშვნის შემოტანა (19/ბ).

პედაგოგთა დასახმარებლად

13. ქვემორე ქვითრები გამოწერილია დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად. პირველ, უფრო ძველ ქვითარზე გამოწერილი თანხა უკვე გადახდილია; გადასახდელია მეორე, უფრო ახალი ქვითრის თანხა (მრიცხველის ჩვენების მიხედვით). მაგრამ აღარ ახსოვთ 1 კვტ.სთ-ის ღირებულება და იგი პირველი ქვითრის მიხედვით უნდა გაარკვიონ. რა თანხა უნდა გადაიხადონ მეორე ქვითრის მიხედვით?





ა) 102ლ 26თ; ბ) 45ლ; გ) 23ლ. 94თ; დ) 79ლ 82თ;
ე) 65ლ 14თ; ვ) 55ლ 40თ; ზ) 47ლ. 88თ.

02. დახარჯული ელექტროენერგიის საფასური გამოითვლება მრიცხველის ჩვენების მიხედვით. მრიცხველზე დანახარჯები ზუსტად რომელი ერთეულით აღირიცხება?

ა) კილოვატისა და საათის ნამრავლი; ბ) კილოვატისა და საათის სხვაობა;
გ) ვოლტი და ამპერი; დ) კილოვატი და საათი;
ე) კილოვატი შეფარდებული საათთან; ვ) კილოვატისა და საათის ჯამი;
ზ) ლარი და თეთრი.

50. გაარკვიეთ, რომლებია მცდარი წინადადებები:
I. ხუთნიშნა რიცხვის პირველი ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში რამდენი ათიათასეულია;
II. ხუთნიშნა რიცხვის მეორე ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში რამდენი ათასეულია;
III. ექვსნიშნა რიცხვის პირველი ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში რამდენი ასიათასეულია;
IV. ექვსნიშნა რიცხვის მესამე ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში რამდენი ათასეულია;
V. ხუთნიშნა რიცხვის მეორე ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში ათიათასეულთა გარდა კიდევ რამდენი ათასეულია;
VI. ექვსნიშნა რიცხვის მესამე ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში ასიათასეულთა გარდა კიდევ რამდენი ათასეულია;
VII. ექვსნიშნა რიცხვის მესამე ციფრი გვიჩვენებს, ამ რიცხვში ათიათასეულთა გარდა კიდევ რამდენი ათასეულია.

II, IV, VI

სასკოლო აქტივობა

„დედამიწის საათი“ – 2016

ამ წერილისთვის შესავლის წერა რომ დავიწყე, მაშინვე ჯონ დენვერის სიმღერა „მშვიდობით ანდრომედა“ (1973 წ.) მომაგონდა.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს სამყაროში,
აქ მე ვარ ყველაფერზე პასუხისმგებელი,
მე გავხადე ის ასეთი,
მე შევქმენი ეს გარემო, რომ მენახა,
რისი მოტანა შეეძლო მას,
მე ვფიქრობ, ის სრულყოფილია და
არაფრის შეცვლას არ ვაპირებ!“

გარემოს დაცვის საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მკვეთრად იმატა ადამიანის უარყოფითმა ზემოქმედებამ ბუნებაზე. ყველა სულიერს დედამიწაზე, განსაკუთრებით კი ბავშვებს და მოზარდებს, აქვთ უფლება, იცხოვრონ ჯანსაღ, უსაფრთხო და ლამაზ გარემოში, მაგრამ არ არსებობს უფლება ვალდებულების გარეშე. ჩვენი ვალია, მოვუაროთ ბუნებას, ხელი შევუწყოთ მის გაუმჯობესებას.

ამ სულისკვეთებით იზრდებიან თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდები. ნიჭიერი, შემოქმედი, ბევრი სიახლის ინიციატორი დირექტორის, ქალბატონი **ნანა ჯუღელის** დამსახურებაა, რომ სკოლაში დამკვიდრდა აქტუალური, ეფექტიანი, ემოციური, ხალისიანი ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა.

ახლაც 149-ე საჯარო სკოლა და მასთან არსებული ეკოკლუბი, პედაგოგ **ოლღა ბანცურის** ორგანიზატორობით, შეუერთდა დედამიწის საათს, რომელიც 2016 წლის 19 მარტს აღინიშნა. ეს არის საერთაშორისო უდიდესი ეკოლოგიური აქცია მთელ მსოფლიოში. ამ დროს მილიონობით ადამიანი, ერთი საათით, ელექტროენერგიის გამოყენებაზე უარს აცხადებს და ამით პლანეტის მწვანე და უსაფრთხო მომავლის მხარდაჭერას გამოხატავს. ეკოკლუბის დევიზი იყო „ერთად ვებრძოლოთ კლიმატის ცვლილებას! მოქმედების დროა!“ კლუბის წევრებმა დაამზადეს ბუკლეტები და მოსახლეობას დაურიგეს, რომ ისინიც ჩართულიყვნენ აქციაში.

„დედამიწის საათი“ სკოლაში 2016 წლის 19 მარტს 20:00 საათზე დაიწყო. აქციაში მონაწილეობდნენ დირექციის წევრები, პედაგოგები, მოსწავლეები, ეკოკლუბის წევრები. აქციას შემოუერთდნენ მშობლები, ნაძალადევის რაიონის გამგეობა და თემქის მოსახლეობა.

წელს ჩაქრა განათებები ისეთ ღირსშესანიშნაობებზე როგორიცაა: ლონდონის ბიგ-ბენი, წმინდა ოჯახის ტაძარი ბარსელონაში, სიდნეის ოპერის თეატრი, ლურჯი მეჩეთი სტამბულში, ათენის აკროპოლი, ნიაგარას ჩანჩქერი, მოსკოვში კრემლი და ათასამდე სხვა შენობა. ჩვენმა სკოლამ ერთი საათით დაზოგა ელექტროენერგია და ამით გამოვხატეთ ჩვენი პლანეტის მწვანე და უსაფრთხო მომავლის მხარდაჭერა. მოსწავლეებმა იზრუნეს სტუმრების განწყობაზე და მოაწყვეს კონცერტი, სკოლის ეზოში დაანთეს სანთლები.

მადლობას ვუხდით ყველას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ოლღა ბანცური
თბილისის 149-ე საჯარო სკოლის
პედაგოგი

სპორტი

როგორ დარჩა სკოლა უდარბაზოდ

არცთუ ისე შორეულ წარსულში – სულ რაღაც 6-7 წლის წინათ, თბილისის 161-ე საჯარო სკოლას საკმაოდ ვრცელი სპორტული დარბაზი ჰქონდა, რომელიც დერეფნით უკავშირდებოდა სკოლის დანარჩენ ნაწილს. მას რემონტი კი სჭირდებოდა, მაგრამ დანგრევისა რა გითხრათ... არადა, ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ასეთი ბედი ენია – ჯერ სპეციალისტები მივიდნენ დარბაზში, მერე გაჩნდა მათი დასკვნა შენობის ავარიულობის შესახებ, რაც განაჩენის ტოლ-ფასი იყო, მისი აღსრულება კი მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ და ბევრიც არ ალოდინეს განწირული დარბაზი... როგორც სკოლაში კერძო საუბრებში გვითხრეს, მაშინ იყო შეპირება, რომ იმავე ადგილას ახალ დარბაზს ააშენებდნენ. თუმცა ამის მტკიცებაზე თავს ვერ დავდებთ, ის კი ფაქტია, რომ მას შემდეგ არათუ არ აშენდა, არამედ თითიც კი არ დაუკარებიათ მშენებლობის წამოსაწყებად და თბილისის ცენტრში, იოსებიძის ქუჩაზე მდებარე ეს ამხელა სკოლა დახურული დარბაზის გარეშეა დარჩენილი. თუმცა, როგორც სკოლის დღევანდელი დირექტორი **მიხეილ მინდაძე** ამბობს, ახალ პროექტში დარბაზის მშენებლობა საერთოდ არ იყო გათვალისწინებულიო. აღსანიშნავია, რომ მინდაძე იმ დარბაზის დანგრევის მერე მივიდა დირექტორად და ბევრიც იბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

– ის დარბაზი იმ დროს დაინგრა, – გვითხრა მიხეილ მინდაძემ – *როცა მე არ ვიყავი დირექტორი, დაახლოებით – 2010 წელს. დანგრევის მიზეზი სათანადო სამსახურის დასკვნაა, რომ შენობა ავარიული იყო. რამდენად იყო ავარიული, ამაში სპეციალისტებს ვერ შევედავებით, თუმცა შეიძლება კედელი მოანგრიო და ახლიდან ააშენო. ფაქტია, რომ დაანგრიეს. ამაზე განათლების სამინისტროსთან მქონდა ინტენსიური ურთიერთობა. როგორც ვიცი, მათ მაშინვე გააკეთეს პროექტი, სადაც სპორტული დარბაზი არ იყო გათვალისწინებული. უნდა აშენებულიყო მხოლოდ სააქტო დარბაზი, რომელიც ადრინდელზე ორჯერ პატარა იქნებოდა. იმ პროექტს სხვა ხარვეზებიც ჰქონდა – ადმინისტრაციული შენობა და მათ შორის დირექტორის კაბინეტი ცალკე იყო გათვალისწინებული. ეს სკოლისთვის მიუღებელია, რადგან არასწორია, დირექტორი სხვაგან იყოს, ბავშვები კი – სხვაგან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს პროექტიც შეჩერებულია, რადგან ამაზე არც შეიძლება იყოს ლაპარაკი – ის ქალაქის სკოლას არ შეესაბამება. ჯერ-ჯერობით ახლის მშენებლობაზე კონკრეტული არაფერია.*

ასე და ამგვარად, 2 600-ბავშვიანი სკოლა, თბილისის ცენტრში, დახურული დარბაზის გარეშე დარჩა, რამაც, ზოგადად, სპორტი დაზარალა, განსაკუთრებით კი – სათამაშო სახეობები, რომელთაგან ზოგიერთი მთლიანად დარბაზზეა დამოკიდებული. სკოლაში სხვებთან ერთად სწორედ ერთი ასეთი სახეობა იყო დანერგილი – ხელბურთი, რომელსაც ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ლიდერი, ევროპის მრავალი ქვეყნის ჩემპიონი და საქართველოს ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელი **ტიტე კალანდაძე** ხელმძღვანელობს. მისი დიდი მეცადინეობით, ხელბურთი აქ ერთ-ერთი წამყვანი სახეობა იყო და ბლომად მოზარდებიც ვარჯიშობდნენ. ეს ჯგუფები დღესაც აგრძელებენ მომზადებას, თუმცა უდარბაზოდ, ანუ საკუთარი ჭერის გარეშე, ცხადია, უჭირთ. *„4 წელზე მეტია, რაც ეს დარბაზი დაინგრა. ჯერ შიგნიდან ცოტა გაარემონტეს, მერე კი დაანგრიეს იმ განზრახვით, რომ უფრო უკეთესი აეშენებინათ. სამწუხაროდ, დანგრევით კი დაანგრიეს, მაგრამ აშენებას რაც შეეხება, თქვენც ხედავთ, რომ არაფერია გაკეთებული. დარბაზი როცა იყო, სულ ტარდებოდა სპორტის გაკვეთილები, ძალიან ბევრი შეჯიბრება იმართებოდა და ბავშვებიც უფრო მობილიზებულები იყვნენ. მხოლოდ ხელბურთში სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ჯგუფი მყავდა, სავსე იყო დარბაზი. ბავშვები ხელბურთის ანაბანას აქ სწავლობდნენ. წარმოიდგინეთ, ახლა როგორ იქნებიან, როცა სპორტის გაკვეთილები ვერ უტარდებათ. იმ დარბაზში ბევრი ტურნირი იმართებოდა კალათბურთში, ხელბურთში, მინი-ფეხბურთში, ძალიან ბევრი ბავშვი ვნახე ხელბურთისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, საქართველო ასახელონ. ძალიან ნიჭიერი და სპორტული ბავშვები არიან, თუმცა ეს გასაკვირიც არაა – 2 600 ბავშვი რომ იქნება სკოლაში, შეუძლებელია, იქ ნიჭიერიც არ გამოიძებნოს. ოღონდ მათ გამოსავლენად საჭიროა სპორტის გაკვეთილები, თორემ ან საერთოდ დაიკარგება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სხვა სახეობაში წავა. სკოლისთვის დარბაზი აუცილებელია“* – გვითხრა ტიტე კალანდაძემ.

ამ დარბაზის დანგრევის ხელწერა კი ძალიან დამაეჭვებელია, თუმცა დღეს ძნელია იმის მტკიცება, გამოთავისუფლებული ფართის ხელში ჩასაგდებად ვინმე მაღალჩინოსანის დაკვეთით ხომ არ დაანგრიეს. ისიც ფაქტია, რომ იმ ადგილას ღია მოედნები გაკეთდა, ანუ ისევ სკოლის განკარგულებაში დარჩა.

ოღონდ ღია მოედანს არ შეუძლია დარბაზის შეცვლა, ეს ამხელა სკოლა კი იმ დარბაზის იმედადაა დარჩენილი, რომელიც 2600 ბავშვისთვის ძალიან პატარაა. თავიდან ესეც არ ჰქონდათ, მის ადგილას სარდაფი იყო, რომელიც სკოლამ საკუთარი ძალებით კეთილმოაწყო, გაარემონტა და სპორტის სამსახურში ჩააყენა. იქ შეიძლება ტანვარჯიშის ამუშავებაც, ხოლო მაგიდის ჩოგბურთის კლუბი უკვე მოქმედებს და დიდ სიმაღლეებსაც მიაღწია (მათ წარმატებებზე „ახალი განათლებაც“ წერდა).

საბედნიეროდ, ჩოგბურთი არაა ერთადერთი გამონაკლისი და იქ სპორტის სხვა სახეობებიცაა განვითარებული. შეიძლება ითქვას, სიძნელეთა მიუხედავად, სკოლაში სპორტი საკმაოდ მაღალ დონეზეა აყვანილი. სკოლის განკარგულებაშია რამდენიმე ღია მოედანი, ოღონდ ისინი მხოლოდ კარგი ამინდის პირობებშია აქაურ მოსწავლეთა სამსახურში, ავდარში კი იქ ვარჯიში შეუძლებელია. თუმცა ამ ბაზებს სკოლისთვის მაინც უდიდესი სარგებელი მოაქვს – იჯარის წესით მათ იქვე მდებარე „საბურთალოს“ საფეხბურთო სკოლაც იყენებს, როცა დღის მეორე ნახევარში ვარჯიშობენ, ეს კი სკოლისთვის დამატებითი შემოსავალია. ცხადია, საფეხბურთო სკოლასთან ასეთი მეზობლობა თავისთავად განაპირობებს სკოლაში ფეხბურთის არსებობას.

ამათ გარდა, სკოლაში სპორტის კიდევ რამდენიმე სახეობა ფუნქციონირებს. დირექციამ ასევე თავისი ძალებით მოაწყო „შვედური კედელი“ და მეკლდეურობა-კლდეზე ცოცვა შესაძლებელი გახდა. არის ფარიკაობის ჯგუფი, რომელსაც ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **ნიკოლოზ ანდრიაძე** ხელმძღვანელობს, ერთ-ერთ გვერდითა ფლიგელში მდებარე პატარა დარბაზში კი მოქმედებს მშვილდოსნობის სექცია, რომელსაც ერთ დროს ყოფილი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ია ტალახაძე** უძღვება. ადრე იქაურობაც სარდაფის ტიპის სათავსო იყო, თუმცა მშვილდოსნებმა ფართს კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარეს და მინიმალური სავარჯიშო პირობები შექმნეს. აქ თბილისის ნაკრებიც კი ვარჯიშობდა, ვიდრე უკეთეს ფართს იპოვიდნენ, მათ რიგებში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუაც** გამოდიოდა. რაც ყველაზე საინტერესოა, მშვილდოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებიც ვარჯიშობენ. სკოლაში სათამაშო სახეობებიდან არის რაგბიც... ამ სახეობებიდან ზოგიერთი სასწავლო საგნადაა შეტანილი, ზოგი კი ცალკეულ სექციად მუშაობს. სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა მასშტაბის სპორტული ღონისძიებები, მაგიდის ჩოგბურთის კლუბის წევრები კი არათუ საქართველოს მასშტაბით, მსოფლიოს რანგის შეჯიბრებებშიც ხშირად მონაწილეობენ და ბევრი წარმატებული სპორტსმენიც ჰყავთ.

ცხადია, სკოლას „სპორტული“ პრობლემებიც აქვს. მიხეილ მინდაძე ასეთად უპირველესად ინვენტარის ნაკლებობას ასახელებს. ასევე სურს, ეზოში არსებულ თავისუფალ ფართზე მარტივი ტიპის საკალათბურთო მოედანი მოაწყოს ქუჩის კალათბურთისთვის, სადაც ბავშვები კიდეც ითამაშებენ და ელემენტარულ საკალათბურთო ჩვევებსაც შეიძენენ, თუმცა ეს ჯერ იდეის და მოლაპარაკებების დონეზეა და ვნახოთ, რა გამოვა. ასევე საჭიროა ინვერნტარის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება პერიოდულად ხდებოდეს მათთან არსებულ სპორტის ყველა სახეობაში.

არაგველები ლილოში

არც ისე დიდი ხნის წინ ლილოში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა, სადაც ბოლო უქმეებზე მეოთხედ ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **გურამ გულადაშვილის** სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც 2002-2004 წლებში დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება გუნდური ფორმატით (კედელი-კედელზე) ჩატარდა და მასში 6 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია იყო, საორგანიზაციო საქმეთა ხელმძღვანელობა კი ბერძენ-რომაელთა 23-წლიანთა ნაკრების მწვრთნელმა **ვაჟა ბოძაშვილმა** ითავა. საორგანიზაციო საკითხებში ასევე მონაწილეობდა თბილისის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა და პირადად გამგებელი **მამუკა ჩოქური**.

ტურნირში ყველაზე უკეთ მასპინძელმა „ლილომ“ და „არაგველებმა“ იასპარეზეს, რომლებმაც ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს. მათ შერკინებაში გამარჯვება ლილოელებს დარჩათ და ჯილდოდ 1000 ლარიც მიიღეს, არაგველებს კი 700 ლარი გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ **გიორგი ფრიდონაშვილი** დაასახელეს.

ფინალისტები გამოავლინეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის (აღმოსავლეთი ზონა) 8, 10 და 12 წლამდე ასაკის ნორჩ მოჭადრაკეთა შორის, ფინალისტები გამოავლინეს.

8 წლამდე გოგონები
თამარ ზღუდაძე – 8,5 ქულა
ნინო ქურდაძე – 7 ქულა
ნატო ეთერია – 6 ქულა
ნინო ურუშაძე – 6 ქულა

8 წლამდე ბიჭები
გიორგი ჯახუა – 8,5 ქულა
ლუკა კილაძე – 7,5 ქულა
ნიკა არუდაშვილი – 7 ქულა

10 წლამდე გოგონები
მარიამ გაბელაია – 7 ქულა
მარიამ გვათუა – 6,5 ქულა
ანა მამარდაშვილი – 6 ქულა

10 წლამდე ბიჭები
ლუკა ფირცხალავა – 7,5 ქულა
გიორგი სანიკიძე – 7,5 ქულა
ნიკოლოზ დარსაძე – 6,5 ქულა
ალექსანდრე ყორღანაშვილი – 6,5 ქულა

12 წლამდე გოგონები
სალომე ბეიტრიშვილი – 7,5 ქულა
ნელი პავლიაშვილი – 7,5 ქულა
ქეთევან საჯაია – 6 ქულა

12 წლამდე ბიჭები
ლევან დალბაშვილი – 7,5 ქულა
გიორგი ჯიქია – 7 ქულა
თორნიკე კიკორია – 6 ქულა
გიორგი ხათაშვილი – 6 ქულა
ანრი ლომიძე – 6 ქულა

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

რა არის რა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
დონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდი ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მოუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70ლ

ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდის სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90ლ

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X